# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 12 თებერვალი 2003 №22 (1793) | ფასი 50 თეთრი


# ჩივაძე VS პასულკო

**დუმს, გუნდს სძინავს** — **მართლა ნაკრებით ჩამოვიდა**





## დღეს ვინ იტყვის ჰოპ

# საქართველო — მოლდოვა

## ამხანაგური მატჩი

თბილისი. ლოკომოტივი
12 თებერვალი. 15 საათი

# მოლდოვა

## მოკითხვა ღვინით დაიწყო, ჩივაძით გაგრძელდა და შუქით დამთავრდა

*მოლდოვის საფეხბურთო დელეგაცია გუშინ შუადღისას ჩარტერული რეისით ეწვია თბილისს. აეროპორტში მასპინძლებს სტუმრები დიდხანს არ დაუყოვნებიათ, ფორმალური მხარე მალევე მოგვარდა და ორ ნაწილად გაყოფილი მოლდოველები ქალაქისკენ დაიძრნენ*



ვიქტორ პასულკო

**ეროვნულმა გუნდმა** თავის მწვრთნელებიანად და ოფიციალური პირების თანხლებით სასტუმრო „ვერე პალასში" დასცა ბანაკი, ახალგაზრდულმა ნაკრებმა კი სასტუმრო „მორკინალს" მიაშურა.

„ვერე პალასთან" გაჩერებული „მერსედესის" მარკის ავტობუსიდან სტუმართაგან პირველი ეროვნულის თავკაცი ვიქტორ პასულკო ჩამოხტა. ერთი გაიხედ-გამოიხედა და სასტუმროს შესასვლელში გაუჩინარდა.

პასულკო ფოიეში შეყოვნდა, მოთმინებით კი ელოდა კუთვნილი ოთახის გასაღებს, მაგრამ საათზეც მალიმალ იყურებოდა. ამასობაში „ვერე პალასის" არცთუ განიერ მოსაცდელში ფეხბურთელებიც შემოლაგდნენ. იქვე რამდენიმე წუთით შეყოვნდნენ, უფრო ლიფტის მოლოდინში. ჟურნალისტები ახლოსაც არ გაგვიკარეს; უკომენტაროდ! — ყველა კითხვაზე ერთი პასუხი ჰქონდათ პასულკოს ბიჭებს.

სასტუმროს ტექნიკურ პერსონალთან კი მომღიმარი სახეებით გააბეს ლაპარაკი. როგორ მიდის საქმეები კიშინიოვში? — იკითხა დაცვის თანამშრომელმა.

— გმადლობთ, ჩინებულად — არ დაუგვიანა პასუხი სტუმართა ფორვარდმა სერგეი კლეშჩენკომ.

— ღვინო როგორი დადგა წლეულს თქვენში? — სასტუმროს თანამშრომელს სახეზე შეეტყო, რომ სტუმართა ქვეყანასთან ტკბილი მოგონებები აკავშირებდა.

— ღვინო ქართველებსაც ძალიან კარგი გაქვთ — ლიფტში შესასვლელად გამზადებულმა რადუ რებეჟამ დამხვდურს თვალი ჩაუკრა და გაუჩინარდა.

აშკარა იყო, ფოიეში შეყოვნებას არც *ვიქტორ პასულკო* აპირებდა, მაგრამ ფეხბურთელებისგან „გულდაწყვეტილები" მას მივადექით და მცირე ინტერვიუზე თავაზიანად დაგვთანხმდა.

*-ვიქტორ პასულკო, ოდესის „ჩერნომორეცის", მოსკოვის „სპარტაკისა" და საბჭოთის ნაკრების ყოფილი ცენტრალური ნახევარმცველი, ვისაც თავის დროზე ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალიც მოუნაგრებია, რუსეთიდან 1989 წლის დამდეგს გერმანიაში გაემგზავრა. მას აქეთ პასულკოზე ბევრიც არაფერი გვსმენია, მაშინდა გავიხსენეთ, როცა ჩვენებურმა ფეხბურთის ფედერაციამ ჩივაძის ნაკრებს მოლდოვის გუნდთან სპარინგ-მატჩი „გაუხერხა".*

— უკვე თოთხმეტი წელიწადია, გერმანიაში ვცხოვრობ. მოსკოვის „სპარტაკიდან" კიოლნის „ფორტუნაში" გადავედი და იქ ოთხი სეზონი გავატარე. მერე ბრაუნშვაიგის „აინტრახტში" სამი წელიწადი დავყავი და 34 წლისამ ბუცები კედელზე დავკიდე.

ფეხბურთთან საბოლოოდ განშორებაზე არც მიფიქრია. გერმანიაშივე სამწვრთნელო სკოლა დავამთავრე, შესაბამისი კურსებიც გავიარე და გარკვეული პრაქტიკის შემდეგ მოლდოვის ნაკრებიც ჩავიბარე.

**— თქვენ გერმანიაში ცხოვრობთ და კიშინიოვში მუშაობთ. ქვეყნიდან ქვეყანაში დაუსრულებლად მგზავრობა საქმის კეთებაში ხელს არ გიშლით?**

— გარკვეულ სიძნელეებს ვაწყდებიხოლმე. საქმე განსაკუთრებით მას აქეთ გამირთულდა, რაც ფრანკფურტი — კიშინიოვის საჰაერო რეისი გაუქმდა, თუმც კარგი თანაშემწეები მყავს, ყველა აუცილებელ და საჭირო ინფორმაციას ვფლობ, როგორც საკუთარ გუნდზე, ისე მოწინააღმდეგეზეც.

**— დიდი ხანია, თბილისში არ ყოფილხართ...**

— ბოლოს თქვენთან 1989 წელს „სპარტაკში" თამაშისას ჩამოვედი. თბილისის „დინამოსთან" მატჩისთვის მუდამ განსაკუთრებულად ვემზადებოდი. აქ ყოველთვის განსხვავებული ატმოსფერო გვხვდებოდა, ქომაგიც გამორჩეული გყავდათ, ყველასგან განსხვავებული და ფეთქებადი.

**— ძველ ნაცნობ-მეგობრებთანაც მოგელით შეხვედრა...**

— დღესაც თვალწინ მიდგას ის დღე, საბჭოთა ნაკრების შეკრებაზე რომ დამიბარეს. მაშინ გუნდს ალექსანდრე ჩივაძე კაპიტნობდა. სამასგან თავის დროზე მეც მისწავლია. იმ პერიოდში ის ვეტერანად ითვლებოდა. კარიერის ბოლო წლებს ითვლიდა, მე კი 23 წლის ბიჭი ვიყავი. ჩივაძე დიდი ფეხბურთელი იყო...

თავის დროზე თენგიზ სულაქველიძესთან, რამაზ შენგელიასთან და ვლადიმერ გუცაევთან ვახლობლობდი. არა მგონია, ჩვენს დამოკიდებულებაზე განვლილ 14 წელიწადს დაღი დაემჩნია. უბრალოდ, ერთმანეთს არ შევხვედრილვართ.

მიხეილ მესხის გარდაცვალების ამბავი აეროპორტშივე შემატყობინეს. ძალიან განვიცადე. მე და მიშას მხრადამხარ გვითამაშია. ის დიდი ტალანტის პატრონი იყო. ეს სამწუხარო ამბავი ცოტა ადრე რომ გამეგო, ერთი დღით ადრე ჩამოვიდოდი და პატივს მივაგებდი მის ხსოვნას.

**— თბილისში უძლიერესი შემადგენლობა ჩამოიყვანეთ?**

— ვეცადე საუკეთესოები შემეკრიბა, მაგრამ ძირითადის ოთხი მოთამაშე მაინც მოვისაკლისეთ. როგაჩოვი და სოსნოვსკი რუსულ „სატურნის" ხელმძღვანელობამ არ გამოუშვა. იგივე მიზეზით სლოვენიურ „პუბლიკუმში" მობურთალი ლონგუც გვაკლია, ხოლო შერიფელი ტესტიმიცანუ მოლდოვური ფეხბურთის მამებთან კონფლიქტშია და ნაკრებში თამაშს უარობს.

**— თქვენს გუნდში რომელი რგოლია უფრო ძლიერი?**

— ყველა კარტი ერთბაშად გავხსნა?! ჩვენს ძლიერ და სუსტ მხარეებს თამაში გამოაჩენს.

**— საქართველოსთან როგორი შედეგი დაგაკმაყოფილებთ?**

— ეს ამხანაგური მატჩია, ჩვენთვის მთავარია, ბელარუსთან ოფიციალური თამაშისთვის საფუძვლიანად მოვემზადოთ, მე მწვრთნელი ვარ და, რა თქმა უნდა, ქართველებთან ღადებითი შედეგი გამახარებს, მაგრამ უმთავრესი ფეხბურთელების მხრიდან ტაქტიკურ-ტექნიკური დავალებების ზედმიწევნით შესრულებაა.

**მამუკა ძგანტალიანი**



მოლდოველები უხასიათობას არ უჩიოდნენ

*საქართველოსთან სადღეისო ამხანაგური მატჩისთვის გამოძახებული 17-კაციანი შემადგენლობა მოლდოველებს თბილისში გამოფრენის წინ შეუთხელდათ და მწვრთნელმა ვიქტორ პასულკომ გუშინ „ლოკომოტივის" სტადიონზე სულ 16 ფეხბურთელი ავარჯიშა*

სამატჩო განაცხადის ბოლომდე შესავსებად კი მწვრთნელი ორი ფეხბურთელის ახალგაზრდული ნაკრებიდან დამატებას აპირებს. სიტყვამ მოიტანა და, ვიქტორ პასულკოს გუნდი თურმე მნიშვნელოვნად გაღაუხალისებია, თუმც რებეჟა, ჩებოტარი, კლეშჩენკო, კატინსუსი — მკითხველისთვის უცხო გვარები არ უნდა იყოს.

მოლდოველებმა გუშინდელი ვარჯიში „ლოკომოტივზე" საქართველოს ნაკრებისას მიაყოლეს, ექვსის ნახევარზე დაიწყეს და იქამდე გააგრძელეს, ვიდრე სტადიონზე ბინდი არ ჩამოწვა.

სტუმართა წვრთნას მასპინძელთა გუნდიდან არავინ დასწრებია. ამხანაგური მეტოქისთვის თვალის შევლება ალბათ, საჭიროდ არ ჩათვალეს.

პასულკოს გუნდი დისციპლინით აშკარად განსხვავდება ხუთი-ექვსი წლის წინანდელი იონ კარასის მოლდოვისგან, საგრძნობლად ამაღლებულა ფეხბურთელთა ოსტატობაც. თავად მწვრთნელის ფეხბურთელთაგან გარჩევა კი გაგიჭირდებოდათ. პასულკო თავადაც იმას აკეთებდა, რასაც შეგირდებისგან ითხოვდა და ერთი-ორჯერ უკეთაც გამოუვიდა.

მოლდოველებს კარში დარტყმაც რიგიანად გამოსდით.

ერთიც გვენიშნა, ვარჯიშისას გაჩერებული, ინერტული, ღონეშემოყრილი არავინ ყოფილა. ყველა ვარჯიში დინამიკაში სრულდებოდა.

წვრთნის ბოლოსკენ კი პასულკომ განათებაც მოითხოვა, თუმც პროჟექტორებს, 12 ოქტომბერს რომ ჩაბნელდა და აღარ ანთებულა, აბა, მოლდოველებს რატომ ჩაურთავდნენ. გადაიხადონ დახარჯული ელექტროენერგიის საფასური და, კი ბატონო, თქვეს მასპინძლებმა.



სერგეი კლეშჩენკო

*ვარჯიშის შემდეგ, მოლდოველთაგან ერთ-ერთ საუკეთესოს, სერგეი კლეშჩენკოს წინასამატჩო კომენტარი ვთხოვეთ. ებრაული ჰაიფას „მაკაბის" თავდამსხმელმა გაკვირვებით შემოგვხედა და გულუბრყვილოდ გვკითხა: „სიამოვნებით, მაგრამ მწვრთნელმა ნება დაგრთოთ?" ჩვენგან უარი რომ მიიღო, წამით შეყოვნდა, ახლავე გავარკვევო, გვითხრა და... მოედნის საპირისპირო მხარეს მდგომ ვიქტორ პასულკოსთან პატარა ბავშვივით მორჩილად მიირბინა...*

*ორიოდ წუთის შემდეგ კი ჩია ტანის სერგეი კლეშჩენკო ჩვენი რესპოდენტი იყო*

— ევრო 2004-ის შესარჩევ ჯგუფში ბელარუსთან მატჩამდე ეს ჩვენთვის ბოლო მოსამზადებელი ეტაპია. საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ სერიოზულად ვემზადებით და ვეცდებით, დადებით შედეგს მივაღწიოთ. თბილისში ტურისტებად სულაც არ ჩამოვსულვართ. ჩვენ პროფესიონალები ვართ და ნებისმიერ მატჩში მოგებაზე ვფიქრობთ.

**— როგორ ფიქრობთ, რა შეუძლია მოლდოვის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე?**

— ჩვენი ჯგუფის შემადგენლობას თუ გავიხსენებთ, ბევრიც არაფერი. ბელარუსის გარდა ხომ ჰოლანდიისა და ჩეხეთის ძალიან ძლიერი ნაკრებებიც ჩვენი მეტოქეები არიან. თუმც ზემოთაც გითხარით, მოლდოვა უბრძოლველად არაფერს დათმობს.

**— ვიქტორ პასულკოზე რას იტყვით?**

— მხოლოდ ორიოდ სიტყვას: კარგი პიროვნება და ასეთივე მწვრთნელია...

**— საქართველოს, ალბათ, კარგად იცნობთ...**

— საქართველოს კარგი ფეხბურთელები არასოდეს აკლდა. თქვენ ახლაც მშვენიერი გუნდი გყავთ, მაგრამ ნაკრების ასეთი სუსტი შედეგები ჩემთვის გაუგებარია.

**— თქვენ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ყველა, ხუთივე მატჩში გითამაშიათ. ხვალ მეექვსედ მოგიწევთ ამის გაკეთება...**

— ყველა მატჩი მეტ-ნაკლებად კარგად მახსოვს. უფრო ზუსტად, მახსოვს ის, რომ საქართველოსთან თამაში ყოველთვის გვიჭირდა. მართალია, ვიგებდით კიდეც, მაგრამ ამაში ხშირად ბედი გვწყალობდა. ერთი სიტყვით, ძალიან რთული მატჩი გველის.

**— მაგრამ თქვენს ხვალინდელ მეტოქეს უძლიერესი შემადგენლობა სულაც არ ჰყავს. მით უმეტეს, ბევრი ფეხბურთელი სულაც დებიუტანტია.**

— რა შემადგენლობაც არ უნდა იყოს, მოდუნების უფლება არ გვაქვს. მე მაინტერესებს, როგორ ითამაშებს მოლდოვის ნაკრები და არა ის, თუ რა შემადგენლობა ჰყავს მეტოქეს. ჩვენ ყოველთვის ვიბრძოლებთ.

**კობა ინასარიძე**
**კახა შალამბერიძე**

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი

UNDER-21 Championship

**IX ჯგუფი**

სერბ. და ჩერნ. 3:0 აზერბაიჯანი

**ამხანაგური მატჩები**

მალტა — ყაზახეთი 0:3; თურქეთი — უკრაინა 4:2; პორტუგალია — შვეიცარია 2:1; საფრანგეთი — ჩეხეთი 1:0; იტალია — ინგლისი 1:0; შოტლანდია — ირლანდია 2:0; ჩრდ. ირლანდია — ფინეთი 3:1

### ამხანაგური მატჩი

კამერუნი 0:3 კოტ დივუარი

### ინგლისი

**მეორე დივიზიონი გადადებული მატჩები**

ბრისტოლი 0:0 ბრენტფორდი
ლუტონი 1:3 ბლეკპული
პორტ ვეილი 5:2 ჩესტერფილდი

**მესამე დივიზიონი გადადებული მატჩები**

დარლინგტონი 0:1 როჩდეილი
ბორნმუთი 3:0 სუონსი
შრიუსბერი 2:2 იორკი
ტორკი 1:0 ექსეტერი

### შოტლანდია

**მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი**

ერდრი 1:1 კოუდენბითი

**მესამე დივიზიონი გადადებული მატჩი**

ისტ ფაიფი 2:1 სტირლინგი



# საქართველო

## უძინართა საღამო

*საქართველოს ეროვნული გუნდის შეკრება ოფიციალურად გუშინწინ, ღამის 11 საათზე დაიწყო. იმ დროისთვის ალექსანდრე ჩივაძის განკარგულებაში ორიოდ ლეგიონერს მოეყარა თავი. დანარჩენები კი ნელ-ნელა, ზოგი გამთენიისას, ზოგიც შუადღემდე გამოჩნდნენ სასტუმრო „მონოპოლში“.*

*დასასვენებლად და ძალების აღსადგენად მეტი დრო რომ დარჩენოდათ, ჩივაძემ ვარჯიში დათქმულ დროზე ერთი საათით ადრე დაიწყო. თითქოს ამაში დასაძრახი არაფერია, მაგრამ ცვლილების შესახებ ჟურნალისტებიც გაეფრთხილებინათ, არ იქნებოდა ურიგო. მოლდოველებთან მატჩამდე ნაკრების ერთადერთი ვარჯიში თავიდანვე ხომ ღიად იყო გამოცხადებული*

**გუშინ** „ლოკომოტივს“ რომ ვეწვიეთ, ჩივაძის ბიჭებს მოთელვა დაესრულებინათ. ოთარ გაბელიას მეკარეები ცალკე გაეხმო, ხოლო ჩივაძეს საპირისპირო მხარეს ორ ნაწილად გაეყო გუნდი და ნახევარ მოედანზე აბურთავებდა.

ცოტა ხანში მწვრთნელმა ლომაია და ნიკურაძე კარში ჩააყენა, ფეხბურთელები სამ-სამად ჩაამწკრივა, მთელი მოედნის გადასერვა და გოლის გატანა დაავალა. ამას რომ მორჩნენ, ორკარა გაჩაღდა. სათადარიგო კარის მოედნის შუაგულში გადატანა ჟურნალისტებს გვთხოვეს. ნაკრების პრესატაშის ჩათვლით, რვა კაცი ვეჯაჯგურებოდით „ლოკომოტივის“ აღმოსავლეთ ტრიბუნასთან მდგარ კარს და სანამ დანიშნულ ადგილამდე მივიტანდით, წელში გაგვწყვიტა. თუ რკინიგზელები ყოველ ვარჯიშზე ზევით-ქვევით დაათრევენ იმ რკინის მართკუთხა ჩარჩოს, ვინძლო, მალე ჩვენს ჩემპიონ ძალოსან, გიორგი ასანიძესაც გაეჯიბრონ.

სიმძიმის აწევაში რომ გავივარჯიშეთ, ჩივაძეს გაწეული სამსახური ერთ ინტერვიუდ შევუფასეთ, მაგრამ, ეტყობა, იმ გარიგებას ახდენა არ უწერია. ბატონმა საშამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

ეროვნულ გუნდში სადღეისოდ მიწვეულ ფეხბურთელებს გუშინ დაღლილობაც ძალიან ეტყობოდათ. ზოგი უძილო იყო, ზოგიც სხვადასხვა შეკრებაზე ძალაგამოლეული. ამიტომ ზემოთ ნახსენები ორკარაც ულიმღამო სანახავი გამოდგა.

ერთადერთი კაცი, ვისაც დაღლილობა არ ემჩნეოდა, ლოკომოტიველი გივი კვარაცხელია გახლდათ. რკინიგზელი ენერგიული ჩანდა და, თუ „ლოკომოტივის“ მენეჯერ ლევან ყიფიანს ვერწმუნებით, კვარაცხელიას სამედიცინო შემოწმების შემდეგ შესაშური ფიზიკური მონაცემები დაუდგინეს. ყიფიანისვე თქმით, ჩინებულ ფორმაშია ალანიელი მიხეილ აშვეთია. თურქეთში მისი თამაში ორჯერ ვნახე და რევაზ ძოძუაშვილის გუნდში საუკეთესო იყოო.

ზედმეტი წონა მოუშორებიათ და მსუბუქად მოძრაობდნენ დინამოელი რატი ალექსიძე და შტურმელი დავით მუჯირი. ყოჩაღად გამოიყურებოდნენ გივი დიდავა და ვიტალი დარასელია.

ორკარა მორჩა, ჩივაძემ კიდევ ცოტა ხანს აწვალა შეგირდები, ბოლოს მეკარეები დაასეტყვინა და დასვენება ბრძანა.

ნავარჯიშევს ბატონი საშა თვალსა და ხელს შუა გაგვისხლტა, სხვა გზა არ იყო, საკომენტაროდ *ოთარ გაბელიას* მივადექით.

— ფეხბურთელების მზადყოფნაზე ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ. ფაქტია, იდეალურ ფორმაში ვერ იქნებიან, ნაწილმა წინასასეზონო შეკრება გუშინ დაასრულა, ნაწილიც ისევ შეკრებაზეა. ცხადია, ბიჭები მგზავრობითაც გადაიღალნენ, მაგრამ იმედია, მატჩამდე ძალებს აღიდგენენ.

**— მეკარეები თქვენს ხელში არიან. როგორ ფორმაშია ლომაია და ნიკურაძე?**

— ლომაია უკვე გამოცდილი და ჩამოყალიბებული მეკარეა. როგორც მითხრეს, თურქეთშიც ჩინებულად უთამაშია. განსაკუთრებით ბოლო მატჩში, უკრაინულ „ობოლონთან“ უყოჩაღია, მისი უნდა გვეიმედებოდეს.

ნიკურაძე რამდენიმე წელიწადია, არ მინახავს. პროგრესი აშკარად ეტყობა, მჯერა, კიდევ მოუმატებს, სადღეისოდ საუკეთესო ფორმაში არ უნდა იყოს, არც არის გასაკვირი, ფინეთში ჩემპიონატი თითქმის სამი თვის შემდეგ იწყება.

სანამ გაბელიას ვესაუბრებოდით, ფეხბურთელებიც ავტობუსისკენ დაიძრნენ, თუმცა, რამდენიმესთან გასაუბრება მოვახერხეთ.

*მიხეილ აშვეთია:* გადაწყვეტილი ამბავია, ერთი წლით ვლადიკავკაზში ვრჩები. რა იქნება მერე, ვერ გეტყვით. დანიურ „კოპენჰაგენთან“ კონტრაქტი ორ წელიწადში მეწურება და ერთი სეზონის შემდეგ რა მოხდება, მეც არ ვიცი.

რაც შეეხება „სპარტაკ-ალანიას“, ურიგო გუნდი არ უნდა დადგეს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით საქმეები კარგად მიდის. მოლდოვის ნაკრებს კი დავამარცხებთ და ვეცდები, გოლიც გავიტანო.

*დავით ჩალაძე:* ნაკრებში გამოძახებამ ძალიან გამახარა, თავს არ დავზოგავ და შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვავლენ.

*გივი დიდავა:* ახალ გუნდში ყველაფერი მაკმაყოფილებს, ერთი ეგაა, „ქოჯაელის“ ბოლო ადგილია საგანგაშო, მაგრამ მჯერა, კრიზისი უკან დარჩება და უმაღლეს ლიგაში ადგილს შევინარჩუნებთ.

„ბეშიქთაშთან“ 0:5-ით დამარცხებას არ ვიმსახურებდით. მეტოქე უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ არა იმდენად, ხუთი უპასუხო გოლით ემარჯვა. 0:1-ზე პენალტი რომ გაგვეტანა... მოლდოვასთან თამაშზე კი ნურაფერს მკითხავთ, მატჩის შემდეგ ვისაუბროთ.

*დავით მუჯირი:* „შტურმმა“ ორი შეკრება უკვე მოილია და ჩემპიონატის განახლებამდე საკუთარ ბაზაზე მოემზადება. თავს ჩინებულად ვგრძნობ, მაგრამ ძირითადში მუდმივად ვიქნები თუ არა, არ ვიცი. ჯერაც ჩემს შანსს ველოდები.

მოლდოვასთან კი გავიმარჯვებთ, დარწმუნებული ვარ.

*გიორგი ლომაია:* ახლა ერთადერთი, რაც მენატრება, ძილია. ძალებს რომ აღვიდგენ, თამაშზეც მეტს ვიფიქრებ. არა აქვს მნიშვნელობა, მე ვიქნები ძირითადში თუ ნიკურაძე. როგორც ვიცი, კარს თითო ტაიმით ორივეს გვანდობენ.

**მამუკა ქვანტალიანი**



1994 წლის 7 სექტემბერი. ძმებმა არველაძეებმა საქართველოს ნაკრების პირველ ოფიციალურ მატჩში მოლდოველთა მეკარე კოშელევს ვერაფერი დააკლეს



გიორგი ლომაია და დავით ნიკურაძე



დავით მუჯირი



გიორგი შაშიაშვილი და მიხეილ აშვეთია

## ყველა მატჩი

2 ივლისი, 1991. კიშინიოვი
რესპუბლიკური. 7 000 მაყურებელი

**მოლდოვა 2:4 საქართველო**

0:1 ქეცბაია (5), 0:2 დარასელია (13), 1:2 სპირიდონი (27), 2:2 ხარია (50), 2:3 მ. ჯიშკარიანი (79), 2:4 ყაველაშვილი (88)

**მოლდოვა:** კვასნიკოვი, სეკუ (ტესტიმიცანუ 60), გუზუნი, ს. სირბუ, კარასი, პარხომენკო (ხარია 46), ა. სირბუ (რებეჯა 77), კაპაცინა (კლეშჩენკო 46), ნანი, სპირიდონი (ოჟერენკო 46), პროცენკო (კირილოვი 46)

**საქართველო:** ჩხეიძე, კუდინოვი, ცხადაძე, შელია, გ. ჯიშკარიანი, ცომაია, ქეცბაია, გ.კილასონია, ბიგვავა (მ. ჯიშკარიანი 59), გ. დარასელია, ყიზილაშვილი (ყაველაშვილი 65)

**მსაჯი:** ა. გორინი (მოლდოვა)

7 სექტემბერი, 1994. თბილისი
ეროვნული. 40 000 მაყურებელი

**საქართველო 0:1 მოლდოვა**

0:1 ოპრია (40)

**საქართველო:** ზოიძე, ნემსაძე, ცხადაძე, შელია, ყაველაშვილი, რ. არველაძე (რევიშვილი 70), ა. არველაძე, ჯამარაული, გურული (ინალიშვილი 46), ქინქლაძე, შ. არველაძე

**მოლდოვა:** კოშელევი, სეკუ, ბელოუსი, პოგორელოვი, ა. სტროენკო (რებეჯა 55), ს. სტროენკო, ოპრია, კურტიანუ, ნანი, სპირიდონი (კოსო 80), კლეშჩენკო

**გაფრთხილება:** სეკუ (18), გურული (25), კოშელევი (47), ა. სტროენკო (49), ნემსაძე (82)

**მსაჯი:** ზაქარი (თურქეთი)

15 ნოემბერი, 1995. კიშინიოვი
რესპუბლიკური. 9 000 მაყურებელი

**მოლდოვა 3:2 საქართველო**

1:0 ტესტიმიცანუ (53), 2:0 მიტერევი (17), 2:1 ჯანაშია (68), 3:1 მიტერევი (72), 3:2 კულიბაბა (82ს.კ.)

**მოლდოვა:** კოშელევი, სეკუ, ტესტიმიცანუ, კულიბაბა, ბელოუსი, ნანი, ოპრია (სუხარევი 54), კირილოვი (გავრილიუკი 80), მიტერევი, კურტიანუ (ჩებოტარუ 76), კლეშჩენკო

**საქართველო:** ზოიძე, ღუდუშაური (დ. ჯანაშია 58), კუდინოვი, ბერაძე, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ცქიტიშვილი, ჯამარაული (მაჭავარიანი 62), ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე

**გაფრთხილება:** ოპრია (13), ჩიხრაძე (24), კლეშჩენკო (30)

**მსაჯი:** ვან დერ ენდე (ჰოლანდია)

7 ივნისი, 1997. ბათუმი
დინამო. 12 000 მაყურებელი

**საქართველო 2:0 მოლდოვა**

1:0 შ. არველაძე (28), 2:0 ქინქლაძე (51პ)

**საქართველო:** ზოიძე, ლობჟანიძე, ცხადაძე, კობიაშვილი, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე (ა. არველაძე 80), ჯამარაული (კიკნაძე 66), ქეცბაია (ზ. ჯანაშია 84), ქინქლაძე, შ. არველაძე

**მოლდოვა:** რომანენკო, ფისტიკანი, ტოლოკონიკოვი, ტესტიმიცანუ (ბელოუსი 46), კულიბაბა, პოპოვიჩი, ეპურიანუ, შიშკინი (სპინუ 58), მიტერევი (როგაჩოვი 58), სუხარევი, კლეშჩენკო

**გაფრთხილება:** კლეშჩენკო (14), შიშკინი (27)

**მსაჯი:** ჩარლზ აგიუსი (მალტა)

24 სექტემბერი, 1997. კიშინიოვი
რესპუბლიკური. 9 000 მაყურებელი

**მოლდოვა 0:1 საქართველო**

0:1 ქეცბაია (10)

**მოლდოვა:** რომანენკო, ფისტიკანი (კირილოვი 66), ტესტიმიცანუ, კულიბაბა, გაიდამაშჩუკი (რებეჯა 56), ს. სტროენკო, კურტიანუ, პოპოვიჩი, მიტერევი (ჩებოტარი 54), როგაჩოვი, კლეშჩენკო

**საქართველო:** ტოგონიძე, ლობჟანიძე, შეყილაძე, კალაძე, ჩიხრაძე, გახოკიძე (ჯამარაული 88), ნემსაძე, ყაველაშვილი (შელია 82), ქეცბაია, ქინქლაძე, ა. არველაძე (გუნია 66)

**გაფრთხილება:** შეყილაძე, სტროენკო

**გაძევება:** კალაძე (63), ქინქლაძე (71), კურტიანუ (71)

**მსაჯი:** დ. კორენი (ისრაელი)

# ახალგაზრდულები



ახალგაზრდულ ნაკრებს გამოძახებული შემადგენლობიდან ხუთი კაცი მოაკლდა. ირაკლი მოდებაძის „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) უცხოურ შეკრებაზეა, ჩვენებურს კი ერთჯერადი ვიზა ჰქონია და ამიტომაც ვერ ჩამოვიდა. ვიტჯორჯიელი გიორგი ადამიას თაობაზე კლუბს აღრევე გაუფრთხილებია არველაძე ჩვენი ფეხბურთელი ჩამოსვლას ვერ შეძლებსო. პოლონური „რუხის" შუახაზელ ლაშა რეხვიაშვილს კლუბთან შექმნია რაღაც პრობლემები. თურქეთიდან ვერ ჩამოვიდა ტორპედოელი რომან ახალკაცი, ხოლო მალხაზ ასათიანი რომ მოლდოვასთან ამხანაგურ მატჩს გამოტოვებდა, ადრეც გაუწყეთ.

დინამოელი ოთარ ხიზანეიშვილი ბალკანეთიდან დროულად კი ჩამოფრინდა თბილისში, მაგრამ ვარჯიშზე დააგვიანა და გუნდთან ერთად ვერ ივარჯიშა — ხიზანეიშვილმა მოგვიანებით მარტომ მოიდინა ოფლი და არველაძის სასჯელი ალბათ ის იქნება, რომ მას სასტარტოში არ გაამწესებს.

# საქართველოს მოგება, მოლდოვას ფრე

## გუზუნმა დილა დაგვიწუნა

*დღეს რევაზ არველაძის დებიუტია — მისი გაწვრთნილი ახალგაზრდული ნაკრები პირველ მატჩს ითამაშებს.*

*გუშინ კი არველაძეს და მის თანაშემწეებს, გოჩა ტყებუჩავასა და ნიკა ჩხეიძეს თბილისის „დინამოდან" დათხოვნის შემდეგ პირველად მიეცათ საშუალება დიღმის ბაზის მინდორზე გაეწვრთნათ გუნდი.*

*ვარჯიში ოთხის ნახევარზე დაიწყო და თითქმის საათნახევარი გასტანა*

ვარჯიში ერთობ ინტენსიური და ყიჩიანი გამოუვიდათ ჩვენს ოცდაერთწლამდელებს. ტრადიციული მოთელვის შემდეგ იყო ვარჯიში მოკლე დისტანციის სწრაფად დაფარვაზე, სასტარტო სისწრაფეზე, მერე სწრაფი კვადრატი სწრაფ აზროვნებაზე, შემდეგ ფლანგური ჩაწოდებები.



გიორგი დეკანოსიძეს ახალი მწვრთნელის სჯერა

იყო ორკარაც, ოღონდ ჯერ ორი შეხებით, მერე ჩვეულად. ბოლოს პატარა კროსი და „გაწელვები".

თავში ვახსენეთ, რომ არველაძემ, ტყებუჩავამ და ჩხაიძემ „დინამოდან" იძულებით წამოსვლის შემდეგ დიღომში პირველად ავარჯიშეს გუნდი — წვრთნას „დინამოს" მაშინდელი მთავარი მწვრთნელი, ახლა კი სპორტული დირექტორი გივი ნოდია დაესწრო. ნოდიას გვერდზე იჯდა „დინამოს" მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი — მალხაზ ასათიანის გარეშე მოვარჯიშე ახალგაზრდულს ისიც ადევნებდა თვალყურს.

ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ფეხბურთელები მყისვე ავტობუსისკენ გაეშურნენ და გზად ორ მათგანს გამოველაპარაკეთ.

*ლადო ახალაია:*

— თითქმის ყველანი უცხოეთიდან ჩამოვედით და, ამხელა გზა ტყუილად ხომ არ გავიარეთ — შედეგი უნდა ვაჩვენოთ.

**— „ზიმბრუში" სამი სეზონი თამაშობდი და რამდენიმე მოლდოველ თანატოლს ალბათ კარგადაც იცნობ...**

— რამდენიმეს კი არა, თითქმის ყველას ვიცნობ. ისინი სწრაფად დარბიან, ფიზიკურად ძალიან კარგად არიან მომზადებულები. ვეცდებით ჩვენი დონე ვაჩვენოთ, მათზე უფრო ტექნიკურად ვითამაშოთ და დავამარცხოთ.

**— ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს, ეს უფრო ამლიერებს ფეხბურთელთა მოტივაციას?**

— რა თქმა უნდა და ეს ბუნებრივიცაა — ცდილობ მოუმატო თამაშს, მწვრთნელს უნდა დაანახო, რომ შეგიძლია რაღაც ღირებული გააკეთო.

**— ამ შესარჩევ ციკლში ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ორივე თამაში წააგო, მოლდოვასთან ამხანაგური მატჩი თუ მოიგო, შეიძლება ეს ფსიქოლოგიურად გარდამტეხ მომენტად იქცეს?**

— მცირე შანსი კიდევ დაგვრჩა, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული და უნდა მოვინდომოთ.

**გიორგი დეკანოსიძე:**

— გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს და რამდენიმე ახალი ფეხბურთელიც. იმედია, რომ არველაძეს შედეგიანად დავაწყებინებთ მუშაობას.

**— არველაძე მარცხენა ნახევარმცველად გათამაშებს თუ გამთამაშებლად? ისიც გვითხარი, „ფიურტში" როგორ მიგდის საქმეები...**

— არ ვიცი. რაც შეეხება ჩემს ფიურტულ ამბებს, ჯერ ძირითადში თამაში არ მიწევს, მაგრამ განათხოვრებაზეც უარი მითხრეს სეზონის განახლების წინ — ძირითადში თამაშის შანსი ყოველთვის გექნებაო.

რამდენიმე შეკითხვით ოლიმპიური ნაკრების დამრიგებელ *რევაზ არველაძესაც* მივმართეთ.

**— რას ნიშნავს თქვენთვის, როგორც გუნდის მთავარი მწვრთნელისთვის, პირველი თამაში?**



ლადო ახალაია



რევაზ არველაძე

— პირველ რიგში დიდ პასუხისმგებლობას. წმინდა პროფესიული ასპექტის მხრივ კი, პასუხისმგებლობა ორმაგდება — ამ ფეხბურთელთა უმრავლესობასთან მანამდე არასდროს მიმუშავია და ახლა ფაქტობრივად, ერთი ვარჯიშით უნდა გავაკეთო დასკვნები.

**— რა ტაქტიკით ითამაშებთ?**

— სამი მცველით და ორი ფორვარდით.

**— დამაკმაყოფილებელი შედეგი მხოლოდ გამარჯვება იქნება?**

— დიახ, მხოლოდ გამარჯვება. ამ თამაშის შემდეგ შესაძლებელი გახდება, რომ რაღაც მომენტები, ნიუანსები დავინახო, ის მარცვლები, რომლებიც სამომავლოდ გამოგვადგება. მთავარი კი ის იქნება, რომ ჩემი მწვრთნელობისას ახალგზარდულ ნაკრებში ისეთი ფეხბურთელი ვერ ითამაშებს, რომელიც დიდი ალტკინების და გრძნობის გარეშე გავა მინდორზე. ბრძოლისუნარიანი და ვაჟკაცური — სხვანაირი გუნდი იქება და ეს ყველამ უნდა იცოდეს. ფეხბურთელებმა უნდა გაითავისონ, რომ ნაკრებში მათ უფრო დიდი საქმე აქვთ გასაკეთებელი, ვიდრე კლუბში.

**— ვინ უკაპიტნებს გუნდს?**

— ეს მატჩის დღეს გახდება ცნობილი.

*მოლდოველმა ახალგაზრდებმა ქართველების დაქაცვულ მინდორზევე ივარჯიშეს – არველაძის ბიჭებს მოედნიდან გასვლა არ აცალეს და წვრთნა ხუთ საათზე დაიწყეს.*

*მათ ვარჯიშში განსაკუთრებულს ვერაფერს შენიშნავდით, დაახლოებით 45 წუთი იშრომეს და გუნდის მთავარ მწვრთნელ ალექსანდრუ გუზუნს მერელა დაველაპარაკეთ*



მოლდოველმა ახალგაზრდებმა ქართველი თანატოლების ვარჯიშს ინტერესით უცქირეს

— ეს შეხვედრა ჩვენთვის გენერალური რეპეტიციაა შესარჩევი მატჩებისთვის. გათვლას დადებით შედეგზე ვაკეთებთ — ბიჭებმა ძალა უნდა ირწმუნონ.

**— თანამედროვე ქართულ ფეხბურთზე რა შთაბეჭდილება გაქვთ?**

— ქართული საფეხბურთო სკოლა ადრეულ წლებიდანაა ცნობილი — ნიჭი და შრომისმოყვარეობა. ბევრის მთქმელია ისიც, რომ თბილისის „დინამომ" 1981 წელს თასების თასი მოიგო. ვფიქრობ, ქართულ ფეხბურთს ტრადიციები არ დაუკარგავს — თქვენ ახლაც ნიჭიერი ფეხბურთელები გყავთ.

**— ახალგაზრდული ფეხბურთის საქმე როგორაა მოლდოვაში — რა სისტემაშია ის მოქცეული?**

— ახალგაზრდულ ფეხბურთში ცოტა არ იყოს, პრობლემები გვაქვს, მაგრამ ახლა იქითკენ მიდის საქმე, რომ ახალგაზრდული ფეხბურთი საერთო სისტემაში მოვაქციოთ — ამას კარგი შედეგი მოჰყვება, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს ასე არ არის.

**— საქართველოსთან რომ ფრედ ითამაშოთ, კმაყოფილი დარჩებით?**

— დიახ, საქართველოსთან გასვლაზე ფრე დადებითი შედეგია. თუმც იმასაც გააჩნია, როგორი ხარისხის ფეხბურთს ვითამაშებთ.

**— მოლდოვის ახალგაზრდული ნაკრები ეროვნულის მოდელს წარმოადგენს თუ განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს?**

— ახალგაზრდული ეროვნულისგან ცოტათი განსხვავდება. ჩვენ ცოტა სხვა სისტემით ვთამაშობთ.

**— მაინც რაშია განსხვავება?**

— ამას თამაშის დღეს ნახავთ.

**— მატჩი რომ არასაფეხბურთო დროს, 12 საათზე იწყება, ამაზე რას იტყვით?**

— ეს პატარა დისკომფორტია. ევროპაშიც უფრო საღამოობით თამაშობენ. უკეთესი იქნებოდა მოგვიანებით გვეთამაშა, ვიდრე დილით.

**დავით თავართქილაძე**



ალექსანდრუ გუზუნი

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

# რუსეთი გვწამს, საქართველო გვაკვირვებს


ვალერი გაზაევი: ამ კაცს ყველა პირობა აქვს საიმისოდ, რომ გაიხაროს

### რუსეთი

**ევროპის ჩემპიონატის** შესარჩევი ეტაპის განახლების წინ რუსის თავი ქართველისაზე საზრიანად მუშაობს. ცოტა ფიქრი და საქმის კეთების სურვილი — რუსთა ეფექტურ სანაკრებო მობილიზაციას სხვა რეცეპტი არცა აქვს.

ვალერი გაზაევმა რუსეთის საფეხბურთო კავშირის ხელშეწყობით ყველაფერი იდეალურად გათვალა. „ორთავა არწივის" კვიპროსულ ტურნირში მონაწილეობასთან დაკავშირებით გაზაევმა ორი კვირის წინ თავისი ცსკა-ც კუნძულს აწვია, დღევანდელი არმიული გუნდი ფაქტობრივად რუსთა ნაკრების ბირთვს წარმოადგენს. საფეხბურთო კავშირის რეკომენდაცია გაითვალისწინეს „ზენიტმა" და „როტორმაც" — ეს ორი კლუბიც ნაკრების წევრ ფეხბურთელებიანად კვიპროსში ემზადებოდა, შედეგად ის გამოვიდა, რომ ნაკრების ნახევარი შეგუებულია კვიპროსულ კლიმატს.

დანარჩენ ნახევარისაც ვთქვათ. ჩივაძისგან განსხვავებით, არანაირ მატერიალურ-ბიუროკრატიულ პრობლემებს არ შეუშლია გაზაევისთვის ხელი, უძლიერესი შემადგენლობისთვის ეხმო. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბატალიებია ესპანურ, ფრანგულ და უკვე თურქულ ჩემპიონატებში, რუსთა ნაკრებში არიან ვიქტორ ონოპკო (რაიო ვალეკანო), დმიტრი ხოხლოვი, ვალერი კარპინი (სოსიედადი), ალექსეი სმერტინი (ბორდო), დმიტრი სიჩევი (მარსელი), ვლადიმირ ბესჩასტნიხი (ფენერბაჰჩე). შევნიშნოთ, რომ „სოსიედადის", „მარსელის" და „ფენერბაჰჩეს" საჩემპიონო ამბიციები რუსთა სურვილს წინ ვერ აღუდგა. მაშინ, როდესაც საქართველოსთვის წამყან ლეგიონერთა გამოუძახებლობის ერთ-ერთ მიზეზად ისიც ითქვა, რომ „ფრაიბურგს" პირველ ბუნდესლიგაში გადასვლა სურს და ამხანაგური მატჩისთვის ფინკეს ქართველების მოცდენა საცოდაობა იქნებოდაო...

მოაზროვნე რუსებს დავუბრუნდეთ.

გაზაევმა გეგმიურად შეყარა სანაკრებოდ გამოძახებულები ლიმასოლში. მწვრთნელმა ჯერ დანიშნულების ადგილზე არმიული დესანტი გადასხა — სატურნიროდ შეგულებულ ცსკა-ს 8 ფეხბურთელს აიაპაშივე მოვარჯიშე ზენიტელ-როტორელები შეუერთდნენ და ასოცკილომეტრიანი ავტო-ვოიაჟით რუსთა ნახევარი გუშინწინ დილის ათ საათზე ლიმასოლში იყო. გაზაევმა იმ დღესვე ავარჯიშა თორმეტივე ფეხბურთელი, მერე კი დანარჩენებიც ჩამოვიდნენ. ლეგიონერთაგან პირველი ბესჩასტნიხი შეუერთდა ნაკრებს. რუსთა ეროვნულის მთავარმეგოლე ფენერბაჰჩელმა თურქეთ-კვიპროსის არცთუ შეხმატკბილებული პოლიტიკური ვითარების წყალობით კვიპროსში მოსახვედრად სატრანზიტოდ საბერძნეთი გამოიყენა. გეგმისამებრ მილანში ჩავიდა ბორდოელი ალექსეი სმერტინი და იქ მოვარჯიშე ლოკომოტიველებთან ერთად გადაფრინდა ლიმასოლში. საღამოს ექვსი საათისთვის გაზაევის განკარგულებაში უკლებლივ ყველა გამოძახებული ფეხბურთელი იყო. მიუხედავად სანიმუშოდ დაგეგმილი შეკრებისა, რუსები დანაკლისს მაინც ვერ გადაურჩნენ. „ორთავა არწივის" ულვაშა თავკაცს სასურველი 24 ფეხბურთელის ნაცვლად ორით ნაკლები შერჩა ხელთ.

რუსები კვიპროსულ ტურნირზე არმიელი დენის პოპოვის და რკინიგზელი სერგეი იგნაშევიჩის გარეშე ითამაშებენ. ცსკა-ს შემტევი ლიმასოლში გამგზავრების წინ სერიოზულად დაშავდა სლოვაკურ „ჟილინასთან" საკონტროლო მატჩში. იგნაშევიჩს კი იტალიური შეკრება ჯოჯოხეთად ექცა — მეხუთე დღეა, სიცხიანია და სტაციონალურ მკურნალობას უტარებენ.

დებიუტანტებზეც ვთქვათ. გაზაევმა ამ მხრივაც არ გაუშვა შანსი და სანაკრებოდ ხუთი ახალწვეული შეარჩია — ვენიამინ მანდრიკინი, ალექსეი ბერეზუცკი, დენის ევსიკოვი, ალან კუსოვი და დმიტრი კირიჩენკო კუნძულზე უეჭველი მოირგებენ სანაკრებო მაისურებს, რაკიღა მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, ორდღიან ტურნირში უკლებლივ ოცდაორივე ფეხბურთელი გამოიცდება. კვიპროსულ ტურნირზე რუსთა და მასპინძელთა გარდა რუმინელები და სლოვაკები მონაწილეობენ.

გაზაევის სამწყსო ნახევარფინალურ მატჩში დღეს თბილისის დროით რვა საათზე კვიპროსს გაეჯიბრა. ხვალ კი მეორე ნახევარფინალური წყვილიდან ერთ-ერთთან ფინალში ან მესამე ადგილისთვის იბრძოლებს.

დაბოლოს, წინდახედულ გაზაევს 29 მარტს ალბანეთთან გასვლითი მატჩისთვის სამზადისიც დაუგეგმავს. რუსები შესარჩევი ეტაპის განახლებამდე ერთი კვირით ადრე იტალიაში ან ლაჭაშნიკებულ კვიპროსში შეიკრიბებიან.

...და რას აკეთებს საქართველო?

**პაატა ქვანტალიანი**

# ირლანდიამ გაგვარჩია და დაგვამარცხა
## პარკ ოტელიდან მამები დაიძრნენ


ირლანდიელებმა ალან მაიბერი და სტივენ კარი გაიხსენეს

### ირლანდია

**ბრაიან კერის**, ირლანდიის ნაკრების მენეჯერად დანიშვნის შემდეგ, დღეს პირველი მატჩი ელის, მიზანი კი, ცხადია, 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრაა.

შოტლანდიასთან ამხანაგური მატჩისთვის შეკრება მენეჯერმა ორშაბათს დილას დაიწყო კილმარნოკის სასტუმრო „პარკ ოტელში" და ფეხბურთელებს თავდაპირველად სამომავლო გეგმებზე ელაპარაკა. თათბირის მერე კერიმ ჟურნალისტებს უთხრა, მიზნები დავსახეთ და მთავარი, რაზეც ყველა დამეთანხმა, ის გახლავთ, რომ პორტუგალიაში წასვლის შანსი დაკარგული არ გვაქვსო. „დარჩენილი მატჩების მოგება შეგვიძლია" — თქვა მენეჯერმა.

ახლა ყველას აინტერესებს, როგორი სისტემით ათამაშებს ახალი მენეჯერი გუნდს. ამის თაობაზე მან განაცხადა, რომ ძველი სისტემა, რითაც მიკ მაკარტიმ გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა, ძალიან კარგია და მას გამოიყენებს, თუმც თანდათანობით სხვა სქემებსაც გამოცდის.

ორშაბათსვე ბრაიან კერიმ გუნდი ავარჯიშა და თუმცა კილმარნოკში გადაუღებლად წვიმდა და მოედანი დამძიმებული იყო, კმაყოფილი დარჩა. აქ იყო ინგლისურ „დერბი ქაუნთიში" მოთამაშე რორი დელაპი, რომლის გელფრენდსაც შაბათს ბიჭი შეეძინა. ცოტა გადაღლილი ჩანდა კენი კანინგემი, რაც გასაკვირი არ არის — მას „ბირმინგემში" სამი თამაშის გამართვა მოუხდა ბოლო რვა დღეში. ენდი ობრაიენი კი კარგ ხასიათზე იყო, რადგან მენეჯერმა წინა დღეს „არსენალთან" თამაში შეუქო.

სამწუხაროა, რომ შოტლანდიასთან კერის არ ეყოლება რობი კინი, დამიენ დაფი, გარი კელი და მარკ კენედი. ისინი დაშავებულები არიან.

დღეს ყველას აინტერესებს როი კინის ამბავი. ბუქმეიკერები ფსონებს იღებდნენ კინის ნაკრებში დაბრუნება-არდაბრუნებაზე. ხოლო თავად როი ფიქრობდა — ახალ მენეჯერთან წინა კვირაში შეხვედრის მერე ის ოჯახს და „მანჩესტერში" თავის მენეჯერ ალექს ფერგიუსონს მოეთათბირა. ოჯახმა ნაკრებში დაბრუნება ურჩია, ფერგიუსონმა კი მხოლოდ კლუბის ერთგულება. როგორც გუშინ გამოჩნდა, რომ სერ ალექსის რჩევას უგდო ყური და ნაკრებში თამაში საბოლოოდ იუარა.

როი კინის ხსენებაზე უთუოდ გაგახსენდებათ მიკ მაკარტი, რომელსაც გუშინწინ მეტად უცნაური შეხვედრა ჰქონდა სვენ გორან ერიკსონთან. ინგლისის ნაკრები ავსტრალიასთან მატჩისთვის ემზადება და მაკარტი ერიკსონის ვარჯიშს დასწრებია. როცა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის კომუნიკაციათა დირექტორ პოლ ნიუმენს ერიკსონისა და მაკარტის შეხვედრის მიზეზები ჰკითხეს, მან თქვა, რომ ეს უბრალოდ მეგობრული შეხვედრა იყო და რომ მაკარტიმ წინასწარვე სთხოვა ასოციაციას ინგლისის ნაკრების ვარჯიშზე დასწრების ნებართვა. ნიუმენისავე თქმით, ერიკსონი ძალიან გაახარა მაკარტის ნახვამ.

თუმცა მაკარტის მოგზაურობაზე უფრო მნიშვნელოვანი ირლანდიის ნაკრებში ორი დიდი ხნის უთამაშებელი ფეხბურთელის დაბრუნებაა. ესენი ალან მაიბერი და სტივენ კარი არიან.

26 წლის კარს მუხლის ტრავმამ ძალიან ბევრი დრო დააკარგვინა, არადა, ერთ დროს ის ინგლისურ პრემიერლიგაში საუკეთესო მარჯვენა მცველად ითვლებოდა. ტოტენჰემელ ფეხბურთელს ნაკრებში 2001 წლის 6 ივნისის მერე არ უთამაშია, როცა ირლანდია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ტალინში ესტონეთს შეხვდა. იმ მატჩის მერე ირლანდიამ 17 თამაში ჩაატარა, ორნომრიანი მაისურა კი კარის ნაცვლად სხვას ეცვა. რა თქმა უნდა, რომ კარისთვის მთავარი იმედგაცრუება მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვება გახდა, მაგრამ მის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე შვილი, ენტონი შეეძინა, რამაც დარდი გაუქარვა.

ფეხბურთელის მკურნალობას დიდი ხანი დასჭირდა, მაგრამ განთქმული კოლორადოელი ექიმის, დოქტორ რიჩარდ სტიდმენის მონდომებით კარმა დაიბრუნა ადგილი „ტოტენჰემის" ძირითად შემადგენლობაში და დღეს საღამოს ნაკრებსაც დაუბრუნდება.

ყოფილ ლიდსელ, ახლა კი შოტლანდიური „ჰართსის" მცველ ალან მაიბერის კი ნაკრებში 1999 წლის მაისის მერე აღარ უთამაშია. ნაკრებში ბრაიან კერის მისვლამ მას შანსი მისცა.

„ალანს ყურადღებით ვაკვირდები — თქვა კერიმ — „ჰართსში" გადასვლის მერე მან აშკარად მოუმატა. კლუბში მის მენეჯერ კრეიგ ლევინსაც ველაპარაკე და ძალიან შეაქო. თან ერთიცაა, ის შოტლანდიაში თამაშობს, იქაურ ფეხბურთელებს კარგად იცნობს და ამ მატჩში დიდად გამოგვადგება".

ემზადება შოტლანდიაც, რომლისთვისაც დღევანდელი მატჩი გამორჩეულად პრინციპულია. შოტლანდიელთა მენეჯერ ბერტი ფოგტსს გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე" ჯერ თამაში არ მოუგია.

შოტლანდიელთა იერიშებს ვესტჰემელი დონ ჰატჩისონი გაუძღვება, რომელსაც მთელი წელია, ნაკრებში არ უთამაშია. მისი მეწყვილე დანფერმლაინელი სტივ კროუფორდი იქნება.

ჰატჩისონმა წინა თებერვალში მძიმე ტრავმა მიიღო, ახლა კარგ ფორმაში ყოფილა და დღეს თუ კარგად ითამაშა, ფოგტსი მას მარტში, ისლანდიასთან შესარჩევ მატჩშიც გამოიძახებს.

სავარაუდოა, რომ სასტარტო შემადგენლობაში იქნება ჰატჩისონის ლონდონელი თანაგუნდელი კრისტიან დეილიც და კიდევ რამდენიმე ინგლისში მოთამაშე ფეხბურთელი: ევერტონელი გარი ნეისმიტი და პრესტონელი გრემ ალექსანდერი.

ფოგტსს დაცვაში ეყოლება „ჰართსის" კაპიტანი სტივენ პრესლი და აბერდინელი რასელ ანდერსონი. ეს გადაწყვეტილი ამბავია, აი, რეინჯერსელ ნილ მაკკანსა და ბირმინგემელ პოლ დივლინს შორის არჩევანი მენეჯერს ჯერ არ გაუკეთებია.

„ტოტენჰემის" მეკარე ნილ სალივანი და „დანდი იუნაიტედის" პოლ გალაჰერი თითო ტაიმს ითამაშებენ.

გუნდი ორთვენახევარი არ შეკრებილა და ერთმანეთის ნახვამ ფეხბურთელები დიდად გაახარაო, უთქვამს შოტლანდიელთა გერმანელ მენეჯერს, რომლის მთავარი წუხილი რეინჯერსელი მორის როსის ტრავმაა.

მანვე თქვა, ჩემი მიზანი მხოლოდ კარგი თამაში არ არის, „ჰემპდენ პარკზე" პირველ გამარჯვებას ველოდებით. ვნახოთ, აქედან რა გამოვა.

**გიორგი დარჯანია**


როი კინმა სანაკრებო კარიერაზე უარი თქვა

ეროვნული

# ამხანაგური მატჩები. დღეს

## ესპანეთი — გერმანია



ტობიას რაუს (მარცხნივ) რუდი ფიოლერი სადებიუტო მატჩს უმზადებს

# დაგოლეთ გერმანია!

დღეს პალმა დე მალიორკაში ესპანეთი გერმანიას მასპინძლობს და ინაკი საესი თავისი გუნდისგან უბრალოდ გამარჯვებას კი არა, ბევრი გოლის გატანასაც ითხოვს.

ესპანეთი — გერმანია შესაძლო იყო, წინა ზაფხულშიც გამართულიყო, თან ის მატჩი არა ამხანაგური, არამედ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისა ყოფილიყო. ასეც იქნებოდა, მეოთხედფინალში ესპანელები მსაჯთა შეცდომების გამო რომ არ დამარცხებულიყვნენ მასპინძელ კორეასთან.

იმ მარცხის მერე ნაკრებს ახალგაზრდული გუნდის თავკაცი საესი ჩაუდგა სათავეში და უკვე ხუთი მატჩი ჩაატარა და ერთიც არ წააგია. ამ ხუთიდან ორი თამაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი იყო. ესპანეთმა ჩრდილოეთ ირლანდიასაც მოუგო და საბერძნეთსაც, რითაც სათავეში მოექცა თავის შესარჩევ ჯგუფს. მაგრამ დახეთ, რა ხდება: ბოლო ორ მატჩში, რომლებიც ამხანაგურები იყო, ესპანელებმა მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხეს — პარაგვაის უგოლოდ გაეყარნენ, ბულგარეთს კი 1:0 მოუგეს. ჰოდა, თავში ბევრი გოლი რომ ვახსენეთ, ინაკი საესი თავისი ფორვარდებისგან სწორედ ამიტომ ითხოვს.

„გერმანიასთან შეხვედრაში მთავარ ყურადღებას შეტევას დავუთმობ — განაცხადა მწვრთნელმა — საუკეთესო ფორვარდები კი გვყავს, მაგრამ უპატიებლად ბევრ მომენტს აფუჭებენ".

ნახსენებ მწირგოლიან მატჩებში ესპანეთს რაული არ ჰყავდა. დღეს ის მოედანზე იქნება და მას, სავარაუდოდ, დეპორტივოელი დიეგო ტრისტანი შეუწყვილდება.

ერთი საინტერესო ცნობაც: კუნძულ მალიორკაზე უამრავი გერმანელი ცხოვრობს და გერმანიის ნაკრების სამასპინძლოდ ეს ადგილიც საგანგებოდ ამიტომ შეარჩიეს.

„ვფიქრობ, ტრიბუნებიდან ორივე გუნდს ერთნაირად გაამხნევებენ" — დასძინა საესმა. გერმანიას კი არ ეყოლება გრიპშეყრილი მიხაელ ბალაკი, რაზეც ბუნდესმენეჯერმა რუდი ფიოლერმა თქვა, კარგი იქნებოდა, ყველა საუკეთესო მყოლოდა, მაგრამ რა გაეწყობა. ისე, ფიოლერს ბერლინელი მცველი მარკო რემერი და დორტმუნდელი სებასტიან კელიც დააკლდება.



რაულისგან, ცხადია, გოლებს ელიან

საერთოდაც, ფიოლერმა ახალგაზრდა და გამოცდილი მოთამაშეთა შეთამაშება განიზრახა, რისთვისაც ნაკრებში ორი დებიუტანტი მიიწვია: მიუნხენელი ფორვარდი ბენჯამინ ლაუტი და ვოლფსბურგელი მცველი ტობიას რაუ.

**ირაკლი ნინიძე**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## ინგლისი — ავსტრალია

# ახალწვეულთა ბრიგადა მეორე ტაიმისთვის ემზადება

**ინგლისის** ნაკრები მზადაა ავსტრალიელებთან ლონდონის „ასტონ პარკის" სტადიონზე სათამაშოდ და მედიას ძალიან აინტერესებს სვენ გორან ერიკსონის ახალწვეულთა ხილვა. ერიკსონის გეგმით, მატჩის პირველ ნახევარს გამობრძმედილი ფეხბურთელები ითამაშებენ, მეორეს კი ახალბედები.

ცხადია, დიდი ხმაურია ატეხილი 17 წლის ევერტონელის უეინ რუნის ნაკრებში მიწვევის გამო. რუნი ინგლისის ისტორიაში ყველაზე უწვერული კეპის მომხვეჭი გამოდის. მანამდე ასეთად „კლეპემ როვერსის" ჯეიმს პრინსეპი იყო აღიარებული, ვინც 17 წლისა და 253 დღის იყო, როცა შოტლანდიელების წინააღმდეგ ითამაშა ნაკრებში 1879 წელს. რუნი კი 17 წლის და 111 დღისა გამოვა.

ნაკრებში პირველად იხმეს „საუთჰემპტონის" ჯეიმს ბიტი და ჩარლტონელები — პოლ კონჩესკი და სკოტ პარკერი. ასევე ბირმინგემელი მეთიუ აპსონი, ფულემელი შონ დევისი, მეთოფვე ფრენსის ჯეფერსი და ნიუკასლელი ჯერმენ ჯენასი.

მაგრამ მთავარი ლაპარაკები მაინც რუნის გამოა.

„მე რომ მის ადგილას ვიყო — ამბობს ერიკსონი — დიდად ვიამაყებდი და საბრძოლოდ განვეწყობოდი. 17 წლის პელე მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

„მის ასაკში მღელვარება სისულელეა — თქვა რიო ფერდინანდმა, რომელიც 19 წლისა იყო, პირველი კეპი რომ მოიხვეჭა. „ამ ასაკში დარდი გულს არ ეკარება".

ერიკსონი კარგად არასდროს დაჰკვირვებია რუნის, რომელსაც სულ 26-ჯერ უთამაშია „ევერტონის" პირველ გუნდში და მოედანზე, ძირითადად შეცვლაზე შედის. მაგრამ მას ბევრი ულაპარაკია „ევერტონის" თავკაც დევიდ მოიესთან და სხვა სპეციალისტებთან.

„ყველა მეუბნება, რომ ის გამორჩეული ნიჭის ბიჭია და დიდი ჯანი აქვს. რახან ახალბედათა მოწვევა განვიზრახე, ის აუცილებლად უნდა ყოფილიყო მათ შორის" — თქვა ერიკსონმა.

მწვრთნელს გეგმაც ისეთი აქვს, რომ მეორე ტაიმში თერთმეტივე კაცი შეცვალოს.

მეკარეთა შორის სიახლე ის არის, რომ დევიდ სიმენს სანაკრებო მიწვევა არ მიუღია და ამიტომ „ვესტ ჰემის" დევიდ ჯეიმსს თავის გამოჩენის საშუალება აქვს. თანაც ის შინაურ „აპტონ პარკზე" ითამაშებს. მის გარდა გამოვლენ ლიდსელი პოლ რობინსონი და ევერტონელი რიჩარდ რაიტი.

სულ შეკრებაზე 27 ფეხბურთელია და იქ არ არიან ცხოვრებაარეული სტივენ ჯერარდი, რომელსაც სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს პრემიერლიგაში და შაბათს დაშავებული მისი თანაგუნდელი ემილ ჰესკი. ავად არის ლიდსელი ალან სმიტი. საერთოდ, ვისაც კი ფრჩხილი წამოსტკივდება, იმას მოედანზე არ გაიყვანენ. ნაკრების მწვრთნელს განსაკუთრებით აწვებიან არსენ ვენგერი და სერ ალექს ფერგიუსონი, რომლებსაც ამხანაგურ თამაშში თავიანთი ფეხბურთელების გადაღლა არ აწყობთ.

**ირაკლი გამყრელიძე**



ერიკსონის ახალბედები: უეინ რუნი და პოლ კონჩესკი

## იტალია — პორტუგალია

# დიდი ფიგო ზემერი ტრაპის წინააღმდეგ

**ჯოვანი ტრაპატონიმ** განაცხადა, რომ მისი ახალი რჩეული, პერუჯელი ფაბრიციო მიკოლი დღეს, პორტუგალიასთან ამხანაგურ შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში ეყოლება. მიკოლი, „სკუადრა აძურას" დებიუტანტია და გენუის „სტადიო მარასიზე" თავის წარმოჩენას ეცდება.

„მიკოლი მეორე თავდამსხმელის ფუნქციას შეასრულებს — თქვა დონ ტრაპმა — თუმცა, ისიც არ მინდა, რომ ხალხმა მისგან ზედმეტი მოითხოვოს. ნუ დაგვავიწყდება, ეს თამაში მისთვის მხოლოდ და მხოლოდ პირველი იქნება".

აღსანიშნავია, რომ ტრაპატონი, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე შეეცდება ბოლოხანს გაკრიტიკებული ნაკრების რეპუტაციის აღდგენას. კერძოდ, არ იქნებიან ფრანჩესკო ტოტი, ალესანდრო დელ პიერო და კრისტიან ვიერი, რომლებიც ტრავმებს მკურნალობენ.

რაც შეეხება სასტარტო შემადგენლობის საბოლოო და სრულყოფილ ვარიანტს, მასზე დონ ტრაპი წინასწარ არაფერს ამბობს.

„ამწუთას მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ჩემი გუნდისგან მაყურებლის გახალისებას ველი, თუმცა მესმის, რომ ამის გაკეთება პორტუგალიის ძლიერი გუნდის წინააღმდეგ უძნელესი საქმეა. სტატისტიკა მეტყველებს, რომ წარსულში პორტუგალიას ვჯობდით, ოღონდ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, ვინაიდან სტატისტიკა შეიძლება შეიცვალოს" — განაცხადა მწვრთნელმა.

გარდა ამისა, დონ ტრაპმა მაურო კამორანეზის გაიტალიელებაზეც თქვა ორიოდ სიტყვა. როგორც იცით, ამ არგენტინელმა ნახევარმცველმა თავისი ბედის ისტორიული სამშობლოს ნაკრებთან დაკავშირება გადაწყვიტა.

„ბიჭებმა იგი გულთბილად მიიღეს. კამორანეზი თავს აშკარად შინ გრძნობს. ერთი სიტყვით, პრობლემა არ არსებობს" — დასძინა „სკუადრა აძურას" თავკაცმა.

რაც შეეხება ევრო 2004-ის მასპინძელ პორტუგალიას, მას, ბუნებრივია, ფინალურ ეტაპზე მოხვედრის პრობლემა არა აქვს და, შესაბამისად, მისი სამზადისი უფრო შორსმიმავალია. და, რაც მთავარია, ეს გახლავთ ახალი მწვრთნელის, ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონი თავკაცის, ლუიშ ფელიპე სკოლარის დებიუტი ევროპულ გუნდში.

რა პრობლემები აქვს სკოლარის ამ შეხვედრის წინ? მას ტრავმირებული ჰყავს „პორტუს" ნახევარმცველი კოშტინია, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ გენუის მიწაზე, უფრო სწორად კი ბალახზე, დღეს ლუიშ ფიგუსა და რუი კოშტას ვიხილავთ, სკოლარის პრობლემა შესაძლოა მაინცდამაინც სერიოზული აღარც გვეჩვენოს.

**ბაბუნა ძიძია**



ლუიშ ფიგუ და მანუელ რუი კოშტა

# ამხანაგური მატჩები. დღეს

## საფრანგეთი — ჩეხეთი




ზინედინ ზიდანი და რობერ პირესი ნაკრებში კარგა ხნის შესვენების მერე შეხვდნენ ერთმანეთს

# ძველი ბიჭების ახალი ცხოვრება

**როგორ** დაიწყებს ევროპის ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები 2003 წელს? ეს მისი და ჩეხეთის ეროვნული გუნდის დღევანდელ დაპირისპირებაზეა დამოკიდებული. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ჟაკ სანტინის განკარგულებაში ბრუნდებიან რობერ პირესი, ბიქსენტ ლიზარაზუ და დავიდ ტრეზეგე, „ლურჯებს" ოპტიმიზმის საფუძველი უნდა ჰქონდეთ.

მეორე მხრივ, ფრანგების საქმე უწინდელთან შედარებით გამარტივებულია. კერძოდ, თუკი ადრე, როდესაც ჯერ კიდევ ამაყად ატარებდნენ მსოფლიოს ჩემპიონის სახელს, მათგან მხოლოდ ჩემპიონობასვე ელოდნენ, იაპონია-კორეაში განცდილი სრული ფიასკოს შემდეგ კი, მათგან ევრო 2004-ის შესარჩევ ეტაპში წარმატებას ელიან და მეტი არაფერი.

ფიასკოს შემდეგ, მოგეხსენებათ, ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე როჟე ლემერი ჟაკ სანტინიმ შეცვალა და გვარიანად ბევრი ახალი ფეხბურთელიც გასინჯა, მაგრამ ახლა, ისე ჩანს, რომ აქცენტი ნელ-ნელა ისევ ძველებზე გაკეთდება.

გუშინ, პარიზის შემოგარენში, ნაკრების საწვრთნელ ცენტრში მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე სანტინიმ განაცხადა:

„ჩვენ გვყავს ბიჭები, რომელთაც საფრანგეთის გუნდში დიდი ხანია არ უთამაშიათ და ეს ძალიან სჭირდებათ. ვიცი, რომ ისინი კლუბებში შესანიშნავად გამოდიან, ახლა მაინტერესებს, შეძლებენ თუ არა იმავეს ფრანგი თანაგუნდელების მხარდამხარ. უნდა შევიტყოთ, შეერწყმებიან თუ არა გუნდს, რომელიც ახალ ცხოვრებას იწყებს. ერთი სიტყვით, დღევანდელი შეხვედრა მათი დაბრუნების შესაძლებლობას გვაძლევს და, გარდა ამისა, მომდევნო შესარჩევი თამაშებისთვისაც მოგვამზადებს".

შეგახსენებთ, რომ „ლურჯებს" ბოლო ხუთ შეხვედრაში არ წაუგიათ, თუმცა, ევრო 2004-ის შესარჩევ ჯგუფში ფრიად სუსტი მოწინააღმდეგეებიც ჰყავთ: მათ დაამარცხეს კვიპროსი, სლოვენია და მალტა.

სანტინი განაგრძობს:

„არასდროს დავმალავს, რომ ახლა, ევრო 2004-ის ფინალურ ეტაპზე გასვლის გარდა არაფერი მინდა. სწორედ ამ მიზნისთვის მჭირდება ეს ფეხბურთელები".

რობერ პირესი, ინგლისის წლის საუკეთესო ფეხბურთელი, მოგეხსენებათ, მუხლის ტრავმის გამო მსოფლიოს ჩემპიონატზე არ იყო. 2002 წლის თებერვალში „ლურჯებმა" რუმინელებს 2:1 რომ მოუგეს, პირესს მას მერე ნაკრებში აღარ უთამაშია. დღეს, არსენალელი ნახევარდაცვაში ზინედინ ზიდანს შეუამხანაგდება ცნობისთვის, ზიდანს ლურჯი მაისური ნოემბერში, იუგოსლავიის 3:0 ძლევის შემდეგ აღარ ჩაუცვამს.

დავიდ ტრეზეგე, „იუვენტუსის" მეგოლე, ნაკრებში ბოლოს ივნისში, მსოფლიოს ჩემპიონატზე, დანიელებთან 0:2 მარცხის დროს ვიხილეთ.

სანტინი: „დავიდი დღეს უკეთ თამაშობს. ვიცი, იგი ბევრს ვარჯიშობს, რათა საუკეთესო ფორმა აღიდგინოს, მაგრამ მე 45 წუთზე მეტად არ დავტვირთავ. არ არის საჭირო".

ბიქსენტ ლიზარაზუ კი „ბაიერნში" ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში გამოჩნდა, თუმცა მაშინ სანტინიმ ნაკრებში არ გამოიძახა.

„იგი იუგოსლავიასთანაც შეძლებდა თამაშს, თუმცა „ბაიერნის" მწვრთნელს, ოტმარ ჰიცფელდს ეპარებოდა ეჭვი. მან დამირეკა და მითხრა, ჯობს ამ ერთ შეხვედრაშიც დაასვენოო. მერე გაუგებრობაც არ მომხდარა, ამიტომ ლიზარაზუს ნაკრებში დაბრუნებას მივესალმები" — ამბობს „ლურჯთა" თავკაცი და ბოლოს დასძენს:

„ჩეხებს ბოლო ათ შეხვედრაში არ წაუგიათ. ეს ძალიან ნიჭიერი გუნდია, რომელიც დიდ პატივისცემას იმსახურებს. ადრე ვამბობდი, რომ შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატს სწორედ ჩეხები და ჰოლანდიელები აკლდნენ".

**ბაჩუნა ძიძია**

## ჩინეთი — ბრაზილია



რონალდომ ჩინელ ქომაგებში გზა გაჭირვებით გაიკვლია

# ჩავიდეთ, ჩავაჩინეთოთ!

## არი ჰაანმა პარეირას ხორთუმი აჩვენა

**დღეს** ბრაზილიის ნაკრები ჩინეთის ქალაქ გუანჯოუში ჩინელებს ამხანაგურად გაეჯიბრება. ეს გუნდები ერთმანეთს შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე შეხვდნენ და მაშინ ბრაზილიელებმა მეტოქეს 90-წუთიანი გაკვეთილი ჩაუტარეს.

მსოფლიოს ჩემპიონებს გუანჯოუში ჩემპიონური დახვედრა მოუწყვეს. ჩინელმა ლამაზმანებმა სამბა-რუმბა-ჩაჩა-ჩა გაახალეს და ტამ-ფანდური გამართეს. იყო საყვირების ჭყვიტინი და გამოპრანჭული სპილოების აღლუმიც. რონალდო თაყვანისმცემლებს ძლივს გამოსტაცეს ხელიდან. მოკლედ, გვარიანად გაიხარეს ბრინჯიჭამიებმა.

კარლოს ალბერტო პარეირამ თითქმის ყველა ის ფეხბურთელი იახლა, კორეა-იაპონიაში რომ ივაჟკაცა. მათ გარდა გუნდს მარიო ლობო ზაგალოც გაჰყვა და მასპინძლების გასაგონად ეს თქვა: „ჩინელებს ფეხბურთის თამაშის სწავლება თუ სურთ, ჩვენი კლასის გუნდებს ხშირად უნდა გაეჯიბრონ". მასწავლებელი იქაურებს ახალი ჰყავთ. ბორა მილუტინოვიჩი ცნობილმა ჰოლანდიელმა, არი ჰაანმა შეცვალა. „მე მსურს — ბრძანა არი ჰაანმა — რომ აქაური ფეხბურთი ჰოლანდიურს შევახამო. ჩვენთან ბურთის ფლობა და სივრცეების გამოყენებაა მნიშვნელოვანი და სწორედ ამ კომპონენტებში სჭირდებათ ჩინელებს მეცადინეობა".

„ევერტონის" მოთამაშემ ლი ტიემ კი გულშემატკივრებს (სტადიონს ვერ გაავსებენ თუ) მხარდაჭერისკენ მოუწოდა: „ამ მატჩისგან სიამოვნება უნდა მივიღოთ და ქომაგსაც გულს არ დავწყვეტთ. მაინცდამაინც მოგებას არ ვგეგმავთ, თუმც თავიდან ბოლომდე ვიბრძოლებთ. გვსურს, რომ მსოფლიოს ჩემპიონებს ტოლ-სწორად ვეთამაშოთ".

## ჰოლანდია — არგენტინა

# მარკი ტელეფონთანაა, ენდი გაბრუნდა

**გადაირევი** კაცი, ჰოლანდია არგენტინას ამხანაგურ შეხვედრაში უნდა დაუპირისპირდეს, რაც საინტერესო თამაშის გარდა, თითქოს, მეტს არაფერს უნდა ნიშნავდეს, მაგრამ მავანთ 1978 წელი გაახსენდათ. მოგეხსენებათ, მაშინ, არგენტინაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს და დამატებით დროში არგენტინამ 3:1 გაიმარჯვა. ერთი სიტყვით, ვილაცისთვის დღევანდელი „ამხანაგობა" ძველ ამბავთან შეხმიანებაცაა, თუმცა ახლანდელი საზრუნავი მაინც სხვაა:

ჰოლანდიელთა მწვრთნელი დიკ ადვოკაატი, ფრიად გააკრიტიკეს იმის გამო, რომ სამხრეთამერიკელებთან სათამაშოდ, ბარსელონელი მარკ ოვერმარსი არ გამოიძახა.

„მარკს ტელეფონით ვესაუბრე და დავრწმუნდი, რომ გუნდის შემადგენლობის შეცვლა საჭირო არ იყო — განმარტა ადვოკაატმა — როგორც გარემარბი იგი, ბუნებრივია ნაკრების კანდიდატად რჩება, თუმცა სხვებს რომ სჯობია, ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს".

ცნობილი გახდა: ორშაბათის ვარჯიში იაპ სტამმა და ენდი ვან დერ მეიდემ გამოტოვეს, რადგან ვან დერ მეიდე ფეიენოორდელ პატრიკ პაუვეს დაეჯახა და გაბრუვდა, ხოლო სტამს ფეხი სტკივა, თუმცა ადვოკაატის თქმით, იგი არგენტინასთან უეჭველად ითამაშებს.



მარკ ოვერმარსს (მარჯვნივ) სანაკრებო მიწვევა არ აღირსეს

**ბაჩუნა ძიძია**

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14

## სლოვენია — შვეიცარია

### სლოვენია

*მეკარეები: მლადენ დაბანოვიჩი (ლოკერენი, ბელგია), მარკო სიმეუნოვიჩი (ოლიმპიაკოსი, კვიპროსი);*

*მცველები: სპასოიე ბულაიჩი (მაინცი, გერმანია), ბოსტიან ჩეზარი (დინამო), ალექსანდრ კნავსი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), მატეი მავრიჩი (ნოვა გორიცა), სუად ფილეკოვიჩი (მარიბორი);*

*ნახევარმცველები: მილენკო აჩიმოვიჩი (ტოტენჰემი, ინგლისი), ნასტია ჩეჰი (ბრიუგე, ბელგია), მირან პავლინი (ოლიმპია), ალექსანდრ რადოსავლიევიჩი (შინიკი, რუსეთი), გორან შუკალო (უნტერჰახინგი, გერმანია), ზლატკო ზაჰოვიჩი (ბენფიკა, პორტუგალია), ანტონ ზლოგარი (ოლიმპია);*

*თავდამსხმელები: სებასტიან ციმეროტიჩი (ლეჩე, იტალია), ერმინ რაკოვიჩი (მარიბორი), ერმინ შილიაკი (პანიონიოსი, საბერძნეთი)*

### შვეიცარია

*მეკარეები: ფაბრის ბორერი (გრასჰოპერი), პასკალ ცუბერბიულერი (ბაზელი);*

*მცველები: ბერნტ ჰაასი (ბაზელი), სტეფან ანშო (ლივერპული, ინგლისი), სტეფან კელერი (ციურიხი), რემო მაიერი (მიუნხენ 1860, გერმანია), პატრიკ მიულერი (ლიონი, საფრანგეთი), ბრუნო ბერნერი (ფრაიბურგი, გერმანია);*

*ნახევარმცველები: რიკარდო კაბანასი (გრასჰოპერი), ფაბიო სელესტინი (მარსელი, საფრანგეთი), იოჰან ფოგელი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), რაფაელ ვიკი (ჰამბურგი, გერმანია), ჰაკან იაკინი (ბაზელი), მარიო კანტალუპი (ბაზელი);*

*თავდამსხმელები: სტეფან შაპუიზა (იანგ ბოისი), ალექსანდრ ფრეი (რენი, საფრანგეთი), ლეონარ ტურე (სერვეტი)*

## ხორვატია — პოლონეთი

### პოლონეთი

*მეკარეები: ირჟი დუდეკი (ლივერპული, ინგლისი), მარიუშ ლიბერდა (გროცლინი), გჟეგოჟ შამოტულსკი (ამიცა);*

*მცველები: მარჩინ ბაშჩინსკი (ვისლა), იაცეკ ბაკი (ლანსი, საფრანგეთი), იაროსლავ ბიენიუკი (ამიცა), არკადიუშ გლოვაცკი (ვისლა), რაფალ ლასოცკი (ლეხი), მაცეი სტოლარჩიკი (ვისლა), მიროსლავ შნაუჩერი (კატოვიცე), მარჩინ ვასილევსკი (ვისლა), იაცეკ ზიელინსკი (ლეგია);*

*ნახევარმცველები: ტომაშ დავიდოვსკი (ამიცა), რადოსლავ კალუჟნი (ლევერკუზენი, გერმანია), რომან დაბროვსკი (ბეშიქთაში, თურქეთი), პაველ კაჩოროვსკი (პოლონია), ბარტოშ კარვანი (ჰერტა, გერმანია), კამილ კოსოვსკი (ვისლა), ადამ მაჟევსკი (ლეგია), არკადიუშ რადომსკი (ჰერვენვენი, ჰოლანდია), პიოტრ სვიერჩევსკი (ბირმინგემი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: ანჯეი ნედზელანი (გროცლინი), ემანუელ ოლისადებე (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), გჟეგოჟ რასიაკი (გროცლინი), მაცეი ჟურავსკი (ვისლა)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამალი მეგოლე

## თავი კი არა, წკეპლაა!




300-გოლიანი ტედი შერინგემი

**36 წლის** კაცია და ბუცები აცვია. „ტოტენჰემში" თამაშობს და წინა შაბათს „სანდერლენდის" კარში თავური გაიტანა. ედვარდ პოლ შერინგემს საფეხბურთო სამყარო ტედი შერინგემად იცნობს. „სანდერლენდის" კარში გატანილი გოლი მის საკლუბო კარიერაში მე-300 გამოდგა. მსგავსი შედეგით მოქმედი ფეხბურთელებიდან ვერავინ დაიკვეხნის. ედვარდ პოლი ამ მაჩვენებლით უბადლოა.

შერინგემი ტიპური, ინგლისური ყაიდის ფორვარდია. ის ზესწრაფი არაა და არც დრიბლინგით გამოირჩევა. სამაგიეროდ, შესაშურად დაყენებული დარტყმა აქვს. ხოლო თავს ისე იქნევს, როგორც წკეპლას. ამიტომ იგი ინგლისში პატივცემული კაცია.

ტედი შერინგემმა პროფესიული კარიერა „მილუოლში" 1984 წელს დაიწყო, სადაც ექვსი წელი დაჰყო. 262 მატჩში 111 გოლი მიითვალა და 1990-ში „ნოტინგემ ფორესტში" გადაბარგდა. იქ ოდენ ორი სეზონი გაატარა და 62 მატჩში 21 გოლი გაიფორმა. ტედის მიაჩნია, რომ მისთვის მშობლიური კლუბი სწორედ „ტოტენჰემია", რომელშიც ნოტინგემიდან 1992 წელს გადაინაცვლა. ხუთი წელიწადი ემსახურა „მამლებს", მერე კი სერ ალექსმა დაადგა თვალი. 1997-2001-ში „მანჩესტერ იუნაიტედის" მაისურა 160-ჯერ მოირგო და საკუთარ გოლთა რაოდენობას კიდევ 47 მიამატა. გარდა ამისა, 33 წლისა იმდენად კარგად გამოიყურებოდა, რომ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებაც კი გაირტყა.

კიდევ დაუვიწყარი ჩემპიონთა ლიგის ფინალი იყო — „მანჩესტერი" — „ბაიერნი". დამატებულ წუთებზე შერინგემმა რომ გაათანაბრა და ბოლოს სოლსკიაერს ბურთი თავით ფეხზე დაასვა.

მანჩესტერიდან ისევ ნაცნობ „ტოტენჰემს" 2001-ში დაუბრუნდა. მთლიანად „ტოტენჰემის" შემადგენლობაში 266 მატჩი ითამაშა და 121-ჯერ გაახარა „მამლების" ქომაგნი. აქვე მისი სანაკრებო მოღვაწეობაც უნდა აღვნიშნოთ. ინგლისის ნაკრებს იგი 54 შეხვედრაში 11 გოლით შეეწია. მათ შორის ერთი თბილისში, „შინდისფერთა" კარში შეაგდო.

რამდენიმე თვის წინ ტედი შერინგემს ჰკითხეს, თავით მეასე გოლს როდის გაიტანო. ფეხბურთელმა კი ასე უპასუხა: „რამდენადაც მახსოვს, დიდი ხანია, რაც თავით მეასე გოლი გავიტანე. ეს გოლი თუ გაინტერესებთ, მეორე ასეულის შუაში მოძებნეთ, სადღაც იქ უნდა იყოს".

**ვაჟა ხუციშვილი**



ტიერი ანრიმ ლორან რობერს დენის ბერხკამპის ნაცვლად მოუბოდიშა

# ვერაგი ანგელოზის და უგრძნობი მსაჯის მსხვერპლი

„ნიუკასლ" — „არსენალის" კვირის შეხვედრაში ხუთ წუთში ორი ყვითელი ბარათი მიიღო ნიუკასლელთა ფრანგმა ლორან რობერმა და მისი გაძევება მწვრთნელმა სერ რობი რობსონმა უსამართლოდ მიიჩნია.

თამაში 1:1 დამთავრდა, ნიუკასლელთაგან კი გოლი სწორედ რობერმა გაიტანა.

რობერი წინ ჩაუხტა დენის ბერხკამპს და მას ჯარიმის დარტყმის საშუალება არ მისცა, რის გამოც მეორე ყვითელი, ჯამში კი წითელი ბარათი დაიმსახურა.

სერ ბობიმ დიდ უსამართლობად მიიჩნია თავისი ნახევარმცველის გაძევება. მან თქვა, რომ რობერი ბერხკამპმა წამოაგო პროვოკაციაზე. ბერხკამპი ისედაც ცნობილია უეშმაკეს კაცად. მას ვერაგ ანგელოზსაც უწოდებენ.

„საქმე ისაა, რომ ბერხკამპმა განგებ მიარტყა ბურთი ლორანს — თქვა რობსონმა — ვის აძლევდა პასს? წინ არავინ იყო. მსაჯი ვერ გაერკვა. ფეხბურთის უდიდესი კანონი მომენტის შეგრძნებაა. მსაჯს ის არ აღმოაჩნდა".

რობერის გაძევებას ტიერი ანრიც შეუწუხებია. თამაშის შემდეგ მას მოწინააღმდეგე თანამემამულე მოუძებნია და უნუგეშებია: „მე ვუთხარი, რომ ის უიღბლობა იყო და ხელი ჩამოვართვი. მოშორებით ვიდექი და ზუსტად ვერ გავარკვიე, რა მოხდა".

**ირაკლი ბამყრელიძე**

# ლოთარ, შე მართლა პარტიზანო!

**ბელგრადის** „პარტიზანის" დამრიგებელმა ლოთარ მათეუსმა მიუნხენის „ბაიერნს" სასამართლოში უჩივლა — ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი თავის ყოფილ კლუბს მილიონებს ედავება.

საქმე ასეა — „ბაიერნმა" მათეუსს 2000 წლის მაისში გამოსამშვიდობებელი მატჩი მოუწყო და შემოსავალი, 3,927 მილიონი ევრო, მთლიანად ფეხბურთელს გადასცა.

მაგრამ მათეუსს ეჭვი აქვს, „ბაიერნმა" უფრო მეტი ფული მოიგო ჩემი საბენეფისო მატჩიდან, რაც სრულად უნდა მომართვასო — ლოთარი თითს კლუბის კომერციულ მენეჯერ ული ჰიონესისკენ იშვერს და იქადნება, თანხას „ბაიერნს" საქველმოქმედო მიზნებისთვის ვედავებიო.



ჰიონესი კი განმარტავს, მატჩიდან შემოსულმა ევროებმა 8,45 მილიონს მიაღწია, მაგრამ სხვადასხვა ხარჯების და დაბეგვრის შემდეგ ზუსტად 3,927 მილიონი ევრო დაგვრჩა, რაც მათეუსს დავუყაჭეთო.

„მათეუსის საქციელი იმას ჰგავს, რომ თოფით, რომელიც ხმას კარგად გამოსცემს, ხუთ ტანკს შეუტიო. იმის ნაცვლად, რომ მათეუსს მადლობა ეთქვა ჩვენთვის და საამისოდ გაზეთებისთვის ხუთგვერდიანი ტექსტები შეეკვეთა, ის აქეთ გვერჩის. არ ვიცი, მას რა ჭია შეუჩნდა" — სარკაზმი ზომიერად გააზავა ჰიონესმა.

**დავით თავართქილაძე**



ამ ქვიშაზე თამაში აბა, შეიძლებოდა?

# 3 ქულა 5 ათასზე ძვირია

## ჩარლტონს 1:4 დაუტოვეს

**„ჩარლტონ ატლეტიკი"** ის გუნდია, ინგლისური პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში ყველაზე მეტი საგარეო ქულა რომ მოაგროვა. მერვეადგილოსანი გუნდი სტუმრად მოხვეჭილი 21 ქულით იწონებს თავს, მაგრამ მაინც უკმაყოფილოა, აქაოდა, 24 საგარეო ქულა უნდა გვქონოდა, სამი ქულა მოტყუებით რომ არ აეწაპნათო.

ადრეც ვწერდით, საქმე 11 იანვარს გამართული „ჩელსი" — „ჩარლტონის" მატჩს ეხება, რომელიც „სტემფორდ ბრიჯის" გაზონაყრილ, ქვიშამოყრილ მოედანზე ჩატარდა და მასპინძლებმა 4:1 მოიგეს. თამაშის დასრულებისთანავე ჩარლტონელებმა, სადაც საჭირო იყო, საჩივარი აფრინეს, პრემიერლიგის კანონებით მატჩები მხოლოდ ბალახის საფარზე შეიძლება გაიმართოს, „ჩელსიმ" კი პლაჟის ფეხბურთი გვათამაშა, თან ისე, რომ წინასწარ არაფერი შეგვატყობინაო. მართლაც, ჩარლტონელებმა ზედ მატჩის დაწყების წინ შეიტყვეს, რომ ქვიშაზე მოუწევდათ ბურთის გორება და სპეციალური ბუცებიც არ ჰქონდათ.

ცნობისთვის: იმ მატჩამდე „ჩარლტონს" ზედიზედ შვიდი შეხვედრა არ წაეგო (9 ნოემბრის შემდეგ), მათგან ოთხი კი სტუმრად.

რალა ბევრი გავაგრძელოთ და, პრემიერლიგის ხელმძღვანელობამ საგანგებო კომისია შექმნა, რომელმაც „ჩარლტონის" საჩივარი განიხილა და გუშინ გადაწყვეტილებაც მიიღო: მატჩის შედეგი ძალაში დარჩა, გადათამაშება არ იქნება, „ჩელსის" კი ხუთი ათასი გირვანქის გადახდა მოუწევს, რაკი მეტოქეს მოედნის მდგომარეობის თაობაზე წინასწარ არ აცნობა.

ამგვარ გადაწყვეტილებას საფუძვლად იმ მატჩის მომსახურე მსაჯისა და ინსპექტორის პატაკი დაედო, რომელთაც ქვიშამოყრილი მოედანი სათამაშოდ ვარგისად მიიჩნიეს.

ცხადია, რომ კომისიის პასუხმა „ჩარლტონი" არ დააკმაყოფილა. კლუბის თავმჯდომარე პიტერ ვარნიმ აღშფოთებულმა განაცხადა: „დებულებაში ცალსახად წერია, რომ პრემიერლიგის შეხვედრები მხოლოდ ბალახზე უნდა ჩატარდეს. ამ გადაწყვეტილებით პრემიერლიგამ საკუთარი კანონი დაარღვია. უბრალოდ წარმოუდგენელი რამაა".

**ირაკლი ნინიძე**


**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"**

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

**სექსოპათოლოგიის კლინიკა**

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

**ანონიმურობა დაცულია** **ტელ: 32 21 21**

**ვაქცინაციის ცენტრი**

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11; ტელ: 32 21 21; 32 21 15

# კალჩო იდიოტო!

## წლიური ბალანსი და საშტატო განრიგი ივლისში მომართვით

**სრულიად** ევროპული საფეხბურთო სამყარო უფულობას უჩივის. შარშან ზაფხულიდან რომ დაიწყეს წუწუნი, ჯერაც არ გაჩუმებულან.

იანვრის ბოლოს იტალიაში პროფესიული საფეხბურთო ლიგის საგანგებო თავყრილობა გაიმართა. ცხადია, ისინიც უფულობამ შეაწუხა და ამიტომაც შეიკრიბნენ. განსაკუთრებით სერია B-ს კლუბთა წარმომადგენლებს ჩამოსტიროდათ თავ-პირი. „ლივორნოს“ და „კალიარის“ პრეზიდენტებმა, ალდო სპინელიმ და მასიმო ჩელინომ, რევოლუცია მოინდომეს. მათი თქმით, სერია A-სა და სერია B-ს გუნდებს თავი ერთად რომ მოვუყაროთ და მერე ორ, 20-გუნდიან ჯგუფად გავყოთ, უკეთესი იქნება, უფულობასაც ეშველებაო. მაგალითად, თუ ბობოლა კლუბებს ორ ჯგუფში თანაბრად გადავინაწილებთ, მაგალითად, „მილანისა“ და „რომას“ სანახავად მაყურებელიც მოვა, ან ტელეტრანსლაციის უფლებასაც სარფიანად გავყიდით და ფული გაგვიჩნდებაო.

ეს სპინელი-ჩელინოს აზრია, მაგრამ ამჟამად მსგავსი იდეის განხორციელება, სპეციალისტთა თქმით, აბსურდულია. ზოგმა მას იდიოტურიც კი უწოდა და საეჭვოა, პროფესიული ლიგა რევოლუციაზე დათანხმდეს.

ძველი ამბავია, რომ იტალიაში კლუბთა საფეხბურთო მეურნეობა კრიზისშია: სერია A-ში 18-დან მხოლოდ 8 კლუბშია საქმე აწყობილი — მათი სალაროდან ხელფასები დროულად გაეცემა. აი, ყოჩაღთა ნუსხა: „მილანი“, „იუვენტუსი“, „ინტერი“, „ბოლონია“, „კიევო“, „ემპოლი“, „მოდენა“ და „უდინეზე“.

მეორე რვაგუნდიან ჯგუფში ჯამაგირების მიცემას სულ ცოტა, ორი თვით აგვიანებენ, ხოლო „ლაციოში“ და „ტორინოში“ უკვე ოთხი თვეა, ფეხბურთელებს ფული თვალით არ უნახავთ და ტკბილი მოგონებებით ცხოვრობენ.



სერჯო კრანიოტი

უარესი ამბებია სერია B-ში. 20 კლუბიდან მხოლოდ ექვსია დროულად გადახდისუნარიანი. დანარჩენებიდან, მაგალითად, „სალერნიტანას“ მოთამაშეები სამ თვეში ერთხელ თუ მივლენ სალაროსთან, ზოგმა კი ისლა მოახერხა, რომ ფეხბურთელებს ჯამაგირები გაუნახევრა.

შარშან ფინანსური კრიზისის მორევმა „ფიორენტინა“ ჩაყლაპა, წლეულს „ლაციოს“ ემუქრებოდა იგივე და სერჯიო კრანიოტი დაფაცურდა ფულის საძიებლად. სულს ღაფავს „ტორინო“, ახლა იტალიაში უკვე „პიაჩენცას“ შესაძლო გაყიდვაზე საუბრობენ, რადგან კლუბის მეპატრონეებს შენახვის თავი აღარ აქვთ.

სერია B-ში დაშლის პირას არიან მისულნი იტალიის ყოფილი ჩემპიონები „ჯენოა“ და „ნაპოლი“, „ვერონას“ პრეზიდენტი რა ხანია, კლუბის მყიდველს ეძებს, „სალერნიტანა“ კი მხოლოდ სასწაულის იმედზეა.

ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად პროფესიულმა ლიგამ იტალიის მთავრობას მიმართა და, რადგან იტალიაში ფეხბურთი უბრალოდ ფეხბურთი არაა, მთავრობამ გადაწყვიტა, კლუბებს შეღავათები გაუწიოს. პარლამენტში ახალი კანონპროექტი მიიღეს, რომლის თანახმადაც კლუბებმა წლიური ბალანსი პირველი ივლისისთვის უნდა წარადგინონ სათანადო სამსახურებში, თუმცა მანამდე საგადასახადოს უფროსის მაგიდაზე მარტშივე უნდა დაალაგონ წინასწარი ინფორმაცია თავიანთი ვალშემოსავალ-გასავლის თაობაზე. შემდგომ ამისა, მათ ორ კატეგორიად დაყოფენ. ვისაც ჩაწიკწიკებული დოკუმენტაცია ექნება, სატრანსფერო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის უფლებას მისცემენ, ვისაც არა, მხოლოდ ფეხბურთელების შეძენის ნებას, გაყიდვაზე კი ნურას უკაცრავად.

გამორიცხული არც ისაა, რომ კლუბებმა დავალიანება რამდენიმე წლის განმავლობაში ნელ-ნელა დაფარონ. ეს ამბავი ევროკავშირშიც შეიტყვეს და საგანგებო კომისიის შექმნას აპირებენ იმის გასარკვევად, თუ სად „იკარგება“ ის ფული, რომელიც იტალიურ ფეხბურთში ტრიალებს.

**გაგა ხუციშვილი**

# სილვიო ბერლუსკონი გთავაზობთ არავითარი ფრე!

**ფეხბურთის** წესებში ცვლილებების შეტანა არაერთ სპეციალისტს მოუთხოვია. მაგალითად, ბეკენბაუერმა ერთხელ ბრძანა, თერთმეტი კაცი ძალიან ბევრია, ათნი თუ ითამაშებენ, მეტი სივრცე დარჩება ბურთის გასაგორებლადო. წესების თაობაზე საუბრები განსაკუთრებით მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატების შემდეგ იწყება. შარშან ზაფხულში უსაქმოდ დარჩენილმა ალბერტო ძაკერონიმ მსაჯობის ახალი ვარიანტიც კი შეიმუშავა, მაგრამ ყური არავინ უგდო.

ახლა, როგორც ჩანს, „მილანის“ პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის ენა მოჰქავებია და აი, რა თქვა: „ფეხბურთს უამრავი მაყურებელი ჰყავს. სულ ერთი და იგივე წესებით თამაში მოსაწყენია. მას განვითარება-ცვლილებები სჭირდება. მიმაჩნია, რომ მწვრთნელებს მატჩის მსვლელობისას 4-5 ფეხბურთელის შეცვლის უფლება უნდა ჰქონდეთ, ამით მათ საშუალება მიეცემათ, მეტი გავლენა იქონიონ თამაშზე და კორექტივები შეიტანონ“.



მერე ბერლუსკონი მსაჯებს გადასწვდა: „ისეთი დრო მოვიდა, რომ სამ მსაჯს აშკარად უჭირს მატჩის გაძღოლა, ამიტომ ისინი გაცილებით ხშირად სცოდავენ. განსაკუთრებით საკამათო ხდება ამა თუ იმ ფინალში მსაჯის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ვფიქრობ, მთავარ არბიტრს მეორეც უნდა შევუწყვილოთ და საქმე უფრო გაადვილდება. დღეს მოედანზე ორი მთავარი არბიტრი აუცილებელია“.

ბოლოს „მილანის“ პრეზიდენტმა არც საკუთარი ბიზნესი დაივიწყა, იგი ხომ ტელემაგნატია და ტელევიზიის ბუნებაში კარგად ერკვევა: „აბა, წარმოიდგინეთ, სერია A-ს ნებისმიერი მატჩი ფრედ რომ დამთავრდეს, ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ თუ ამ წესს შევცვლით და მატჩის შემდგომ, თერთმეტმეტრიანები დაინიშნება, რამდენი მაყურებელი მიაწყდება ეკრანს. შეხვედრის ფრედ დასრულება რომ გამოვრიცხოთ, ინტრიგა ერთიორად გაიზრდება, რაც ფეხბურთს ნამდვილად წაადგება“.

ცხადია, ასეთ შემთხვევაში, პენალტების სერიისას, რეკლამის ფარიც გაძვირდება, ხოლო ვის აძლევს ეს ხელს, არც ისე ძნელი გასარკვევია.

**გაგა ხუციშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** „რომას“ პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ ფინანსურად გაკოტრებული და დაშლილი ფლორენციული „ფიორენტინას“ აღდგენა განიზრახა. სენსის პროექტი უკვე შეუდგენია და იმედოვნებს, რომ ინვესტორებსაც მიიზიდავს. მისი თქმით, თურმე „ფიორენტინას“ გადარჩენა შესაძლებელი ყოფილა. ფლორენციული კლუბი, მოგეხსენებათ, ახლა სერია C2-ში თამაშობს.

**გერმანული „ლევერკუზენის“ პრეზიდენტმა რაინერ კალმუნდმა მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს პოსტის შესანარჩუნებლად კიდევ ერთი შანსი მისცა. „ბაიერმა“ ბუნდესლიგის ტურის უახლოესი მატჩი აუცილებლად უნდა მოიგოს, თუ არა და... „გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მივიღე, თუ ტოპის კვლავაც „ლევერკუზენის“ გაწვრთნა სურს, როსტოკის „ჰანზას“ უნდა მოუგოს“ — აცხადებს კალმუნდი.**

**იტალიურმა** „მილანმა“ „კიევოს“ ახალგაზრდა მცველ ნიკოლა ლეგროტალიეს დაადგა თვალი და მზადაა, მის დასასაკუთრებლად „რომას“ შეეცილოს. „შავ-წითლებს“ ლეგროტალიე მის მერე მოსწონებიათ, რაც მცველმა ჩემპიონატის პირველი წრის მატჩში, რომელიც „კიევომ“ 3:2 მოუგო „მილანს“, საუცხოო ფორმაში მყოფ ფილიპო ინძაგის ფეხი არ გაანძრევინა.

**ნორვეგიელი მცველი ვეგარდ ჰეგემი მეორე ფეხბურთელია, სეზონის ბოლოს „ლივერპულის“ დატოვება რომ განუზრახავს. ჰეგემისთვის გუნდიდან წასვლა თავად მწვრთნელ ჟერარ ულიეს შეუთავაზებია — ტრავმები გქონდა, ვერ თამაშობ და კლუბში ვერ გაგაჩერებთო. მანამდე „ლივერპულის“ დატოვება ულიემ ჩეხ ნახევარმცველ პატრიკ ბერგერს გადააწყვეტინა.**

**არგენტინელმა** თავდამსხმელმა გაბრიელ ბატისტუტამ იტალიის ნაკრების ახალწვეული, ტომით თანამემამულე მაურო ხერმან კამორანეზი გააკრიტიკა. მოგეხსენებათ, „იუვენტუსის“ ნახევარმცველი ჯოვანი ტრაპატონიმ „სკუადრა ადურაში“ მიიწვია, კამორანეზის იტალიური დებიუტიც სავარაუდოდ დღეს უნდა შედგეს გენუაში პორტუგალიელების წინააღმდეგ. 33 წლის ბატისტუტამ კამორანეზის სამშობლოს მოღალატე უწოდა. „ყველას აქვს უფლება, აზრი გამოთქვას. გაბრიელ ბატისტუტას, როგორც დიდ მეგოლეს და ფეხბურთელს, უდიდეს პატივს ვცემ, თუმც ჩემთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი „სკუადრა ადურაში“ ჩემი დებიუტია“ — ამბობს კამორანეზი.

**გერმანული „დორტმუნდის“ ჩეხი გამთამაშებელი ტომაშ როსიცკი ჩეხეთის გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელად ახლა დაასახელეს. გამოკითხვაში ფეხბურთელები და მწვრთნელები მონაწილეობდნენ. როსიცკიმ ტიტული ზედიზედ მეორედ ირგუნა. ჩეხეთის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელმა ტომაშ როსიცკიმ ორჯერვე თანაგუნდელი იან კოლერი დაჯაბნა.**

**თურქი** ნახევარმცველი ემრე ბელოზოღლუ დაშავდა. მილანის „ინტერის“ ფეხბურთელმა ტრავმა „რეჯინასთან“ საკვირაო მატჩისას მიიღო. „ინტერის“ ექიმმა ფრანკო კომბიმ „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ემრეს მკურნალობისთვის სულ ცოტა, სამი-ოთხი კვირა დასჭირდება, მას მუხლის მყესები აქვს გაწყვეტილი. 22 წლის ემრე დღეს უკრაინასთან ამხანაგურ მატჩში თურქეთის ნაკრებს ვერ დაეხმარება, „ინტერის“ ლაზარეთში კი ექტორ რაულ კუპერს ექვსი ფეხბურთელი შეუგროვდა — ერნან კრესპო, მატიას ალმეიდა, დანიელე ადანი, ფრანჩესკო კოკო, კრისტიან ვიერი და ემრე ბელოზოღლუ.

## ინგლისი

### I დივიზიონი. XXXI ტური

**რედინგი 2:1 ჯილინგემი**

0:1 უოლესი (10), 1:1 ჩედვიკი (13), 2:1 სალაკო (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 31 | 19 | 9 | 3 | 65:31 | 66 |
| ლესტერი | 31 | 19 | 7 | 5 | 51:29 | 64 |
| შეფილდი | 29 | 15 | 7 | 7 | 44:30 | 52 |
| ნოტინგემი | 31 | 14 | 9 | 8 | 49:32 | 51 |
| რედინგი | 30 | 15 | 4 | 11 | 36:30 | 49 |
| ნორვიჩი | 30 | 12 | 10 | 8 | 43:30 | 46 |
| ვულვზი | 30 | 12 | 9 | 9 | 50:34 | 45 |
| უოტფორდი | 31 | 13 | 6 | 12 | 37:47 | 45 |
| იფსვიჩი | 30 | 12 | 8 | 10 | 47:38 | 44 |
| როტერჰემი | 31 | 12 | 8 | 11 | 50:43 | 44 |
| ქოვენთრი | 31 | 11 | 10 | 10 | 36:34 | 43 |
| მილუოლი | 31 | 12 | 7 | 12 | 39:45 | 43 |
| კრ. პალასი | 30 | 10 | 12 | 8 | 43:33 | 42 |
| დერბი | 31 | 12 | 5 | 14 | 40:45 | 41 |
| ბარნსლი | 30 | 11 | 8 | 11 | 44:55 | 41 |
| უიმბლდონი | 30 | 10 | 9 | 11 | 50:50 | 39 |
| ჯილინგემი | 29 | 10 | 9 | 10 | 37:41 | 39 |
| პრესტონი | 31 | 9 | 11 | 11 | 47:50 | 38 |
| ბრედფორდი | 30 | 9 | 8 | 13 | 37:51 | 35 |
| უოლსოლი | 31 | 9 | 6 | 16 | 42:50 | 33 |
| გრიმსბი | 31 | 7 | 7 | 17 | 36:59 | 28 |
| სტოკი | 31 | 5 | 10 | 16 | 34:56 | 25 |
| უენსდი | 31 | 5 | 9 | 17 | 29:54 | 24 |
| ბრაიტონი | 31 | 5 | 8 | 18 | 32:51 | 23 |

## იტალია

### სერია B. XXII ტური

**ლეჩე 1:0 სამპდორია**

1:0 ვუცინიჩი (58)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 22 | 10 | 8 | 4 | 34:25 | 38 |
| ანკონა | 22 | 10 | 8 | 4 | 32:25 | 38 |
| სიენა | 22 | 9 | 10 | 3 | 24:16 | 37 |
| სამპდორია | 22 | 9 | 9 | 4 | 29:19 | 36 |
| ტრიესტინა | 22 | 10 | 6 | 6 | 33:24 | 36 |
| ლივორნო | 22 | 10 | 5 | 7 | 27:18 | 35 |
| ლეჩე | 22 | 8 | 11 | 3 | 25:19 | 35 |
| ტერნანა | 22 | 8 | 6 | 8 | 26:24 | 30 |
| ასკოლი | 22 | 8 | 6 | 8 | 27:26 | 30 |
| პალერმო | 22 | 8 | 6 | 8 | 21:23 | 30 |
| ვენეცია | 22 | 8 | 6 | 8 | 23:27 | 30 |
| მესინა | 22 | 7 | 8 | 7 | 31:28 | 29 |
| კალიარი | 22 | 8 | 5 | 9 | 20:27 | 29 |
| ჯენოა | 22 | 7 | 7 | 8 | 28:25 | 28 |
| ვერონა | 22 | 6 | 9 | 7 | 26:24 | 27 |
| ნაპოლი | 22 | 5 | 9 | 8 | 25:31 | 24 |
| კატანია | 22 | 7 | 3 | 12 | 25:35 | 24 |
| ბარი | 22 | 3 | 11 | 8 | 18:23 | 20 |
| კოზენცა | 22 | 5 | 5 | 12 | 18:28 | 20 |
| სალერნიტანა | 22 | 3 | 4 | 15 | 14:39 | 13 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. XX ტური

**კიოლნი 3:3 ალემანია**

1:0, 2:0 ლოტნერი (45, 51), 3:0 კრინგე (64), 3:1, 3:2, 3:3 კრონტირისი (67, 82, 89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 19 | 11 | 8 | 0 | 41:21 | 41 |
| აინტრახტი | 20 | 11 | 5 | 4 | 30:15 | 38 |
| ფრაიბურგი | 19 | 11 | 4 | 4 | 31:16 | 37 |
| მაინცი | 20 | 11 | 3 | 6 | 34:19 | 36 |
| ტრირი | 20 | 9 | 5 | 6 | 34:25 | 32 |
| ალემანია | 19 | 8 | 7 | 4 | 35:26 | 31 |
| ფიურტი | 20 | 7 | 9 | 4 | 26:19 | 30 |
| ობერჰაუზენი | 19 | 8 | 6 | 5 | 24:21 | 30 |
| დუისბურგი | 19 | 7 | 7 | 5 | 27:25 | 28 |
| როიტლინგენი | 19 | 7 | 4 | 8 | 27:30 | 25 |
| ბურგჰაუზენი | 20 | 5 | 8 | 7 | 28:25 | 23 |
| ლიუბეკი | 20 | 7 | 2 | 11 | 30:33 | 23 |
| უნიონი | 20 | 5 | 8 | 7 | 24:37 | 23 |
| კარლსრუე | 20 | 4 | 9 | 7 | 19:29 | 21 |
| ალენი | 20 | 5 | 4 | 11 | 23:36 | 19 |
| ვალდჰოფი | 20 | 4 | 4 | 12 | 23:42 | 16 |
| ზტ. პაული | 20 | 3 | 4 | 13 | 28:46 | 13 |
| ბრაუნშვაიგი | 18 | 2 | 5 | 11 | 19:38 | 11 |

## შოტლანდია

### ასოციაციის თასი მერვედფინალის წილისყრა

**სელტიკი — სენტ ჯონსტონი; დანფერმლაინი — ჰიბერნიანი; დანდი — ქუინ ოფ საუთ ან აბერდინი; კლაიდი — მოზერუელი; მორტონი — ფორფარი ან სტრანრარი; ალოა — ფოლკირკი; ინვერნესი — ჰამილტონი; ეარი — რეინჯერსი**

*მატჩები გაიმართება 22-23 თებერვალს*




# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ


### გერმანია. ბუნდესლიგა. XXI ტური

**15 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 002 | მიუნხენი-ბაიერნი | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| 18.30 | 003 | ნიურნბერგი-ვერდერი | 2,8 | 3,3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| 18.30 | 004 | ლევერკუზენი-ჰანზა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 006 | შალკე-შტუტგარტი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.30 | 007 | არმინია-კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

**16 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 20.30 | 009 | კოტბუსი-ჰანოვერი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXI ტური

**14 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 010 | ლიუბეკი-ფრაიბურგი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 22.00 | 011 | ბრაუნშვაიგი-სტ.პაული | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 22.00 | 012 | დუისბურგი-კარლსრუე | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |

**15 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 013 | ალემანია-ბურგჰაუზენი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.00 | 014 | ალენი-ფიურტი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 18.00 | 015 | უნიონი-როიტლინგენი | 2,2 | 3,0 | 3,3 | 1,26 | 1,32 | 1,57 |
| 18.00 | 016 | მაინცი-ობერჰაუზენი | 1,65 | 3,4 | 5,6 | 1,11 | 1,27 | 2,11 |
| 18.00 | 017 | ტრირი-ვალდჰოფი | 1,65 | 3,5 | 4,7 | 1,12 | 1,22 | 2 |

**17 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 018 | აინტრახტი-კიოლნი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXXII ტური

**15 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 019 | მილუოლი-რედინგი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 020 | ბრედფორდი-ბრაიტონი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 021 | დერბი-უენსდი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 19.00 | 022 | ჯილინგემი-გრიმსბი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 023 | როტერჰემი-ქოვენთრი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |

**17 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 024 | ლესტერი-პორტსმუთი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXXII ტური

**14 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 028 | კოლჩესტერი-მენსფილდი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |

**15 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 029 | ბარნსლი-ჩესტერფილდი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 030 | ბლეკპული-ბრენტფორდი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 19.00 | 031 | ქრიუ-უიგანი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 032 | ჰადერსფილდი-ჩელტენემი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 033 | ლუტონი-ნორთჰემპტონი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 19.00 | 034 | ნოტსი-ბრისტოლი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 19.00 | 035 | პიტერბრო-კარდიფი | 3,3 | 3,3 | 2,05 | 1,64 | 1,26 | 1,26 |
| 19.00 | 036 | პლიმუთი-ტრანმერი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 037 | ქუინს პარკი-პორტ ვეილი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.00 | 038 | სტოკპორტი-ოლდემი | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |
| 19.00 | 039 | სუინდონი-უიკომბი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXXII ტური

**15 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 044 | როვერსი-ბორნმუთი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 19.00 | 045 | ბერი-ლეიტონი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 19.00 | 046 | ექსეტერი-ბოსტონი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 047 | კიდერმინსტერი-ტორკი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 048 | ლინკოლნი-დარლინგტონი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 19.00 | 049 | ოქსფორდი-კარლაილი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 050 | სკანთორპი-ჰალი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 19.00 | 051 | შრიუსბერი-მაკლსფილდი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 052 | სუონსი-კემბრიჯი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 053 | რექსემი-საუთენდი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 21.35 | 054 | იორკი-ჰარტლპული | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

### იტალია. სერია "A". XXI ტური

**15 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 055 | კიევო-ინტერი | 3,4 | 3,1 | 2,1 | 1,62 | 1,29 | 1,25 |
| 23.30 | 056 | რომა-ბრეშა | 1,55 | 3,3 | 7,0 | 1,05 | 1,26 | 2,24 |

**16 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 057 | ატალანტა-უდინეზე | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 18.00 | 058 | ემპოლი-პერუჯა | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 18.00 | 059 | პარმა-იუვენტუსი | 3,2 | 3,0 | 2,25 | 1,54 | 1,32 | 1,28 |
| 18.00 | 060 | პიაჩენცა-ბოლონია | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 18.00 | 061 | რეჯინა-კომო | 1,7 | 3,1 | 5,3 | 1,09 | 1,28 | 1,95 |
| 18.00 | 062 | ტორინო-მოდენა | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.30 | 063 | მილანი-ლაციო | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXII ტური

**15 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 086 | ესპანიოლი-ბარსელონა | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 00.30 | 087 | ვალენსია-მალაგა | 1,5 | 3,4 | 7,5 | 1,04 | 1,25 | 2,33 |
| 00.30 | 088 | ვალიადოლიდი-დეპორტივო | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |

**16 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 089 | ბილბაო-სევილია | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 20.00 | 090 | სელტა-უელვა | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 091 | სელტა-უელვა 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | | |
| 20.00 | 092 | ოსასუნა-რეალი | 4,2 | 3,2 | 1,8 | 1,81 | 1,25 | 1,15 |
| 20.00 | 093 | რასინგი-რაიო | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 20.00 | 094 | ალავესი-ვილიარეალი | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 22.00 | 095 | ატლეტიკო-მალიორკა | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.30 | 096 | ბეტისი-სოსიედადი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XXIII ტური

**15 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 097 | კომპოსტელა-ფეროლი | 1,95 | 2,9 | 4,2 | 1,16 | 1,33 | 1,71 |
| 21.30 | 098 | ხეტაფე-მურსია | 2,8 | 2,9 | 2,5 | 1,42 | 1,32 | 1,34 |
| 21.30 | 099 | ოვიედო-ტენერიფე | 2,35 | 2,8 | 3,2 | 1,27 | 1,35 | 1,49 |
| 21.30 | 100 | ალმერია-კორდობა | 1,9 | 2,8 | 4,6 | 1,13 | 1,34 | 1,74 |
| 24.00 | 101 | ლას პალმასი-ხერესი | 1,95 | 3,0 | 4,0 | 1,18 | 1,31 | 1,71 |

**16 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 102 | სარაგოსა-ლევანტე | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 15.00 | 103 | ტერასა-ეხიდო | 2,35 | 2,6 | 3,4 | 1,23 | 1,38 | 1,47 |
| 20.00 | 104 | ბადახოსი-ალბასეტე | 2,7 | 2,8 | 2,7 | 1,37 | 1,35 | 1,37 |
| 20.00 | 105 | ეიბარი-სალამანკა | 2,4 | 2,7 | 3,2 | 1,27 | 1,37 | 1,46 |
| 20.00 | 106 | ელჩე-სპორტინგი | 2,15 | 3,0 | 3,4 | 1,25 | 1,31 | 1,59 |
| 20.00 | 107 | ნუმანსია-ლეგანესი | 2,2 | 2,7 | 3,6 | 1,21 | 1,36 | 1,54 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი

**15 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 108 | ნანტი-სოშო | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები

**13 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 109 | კრეტეი-შატორუ | 2,4 | 2,8 | 3,1 | 1,29 | 1,35 | 1,47 |

**14 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 110 | კლერმონი-ბოვე | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 23.00 | 111 | ისტრი-სტ.ეტიენი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |

### პორტუგალია. I ლიგა. XXII ტური

**15 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.15 | 112 | ბოავიშტა-ფერეირა | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 01.15 | 113 | მარიტიმუ-პორტუ | 4,0 | 3,1 | 1,9 | 1,74 | 1,28 | 1,17 |

**16 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 114 | ბელენენსეში-ვარზიმი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 20.00 | 115 | ჟილ ვისენტე-სანტა კლარა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 20.00 | 116 | ბეირა მარი-სეტუბალი | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| 20.00 | 117 | ლეირია-მორეირენსე | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 118 | სპორტინგი-ბრაგა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 119 | სპორტინგი-ბრაგა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 00.15 | 120 | ბენფიკა-ნასიონალი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 121 | ბენფიკა-ნასიონალი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **17 თებერვალი** | | | | | | |
| 00.30 | 122 | გიმარაეში-აკადემიკა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

**პორტუგალია. II ლიგა. XXII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 123 | სალგეირუში-ამადორა | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 124. | შავეში-მაია | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 19.00 | 125 | ალვერკა-პორტიმონენსე | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 19.00 | 126 | ავეში-პენაფიელი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 19.00 | 127 | კოვილია-ლეიცა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 128 | ოვარენსე-მარკუ | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 19.30 | 129 | ნავალი-ფელგეირაში | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |
| 20.00 | 130 | ფარენსე-ლამაში | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 20.00 | 131 | რიუ ავე-მადეირა | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 132 | რიუ ავე-მადეირა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. XX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 133 | როზენდალი-უტრეხტი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 134 | აიაქსი-გრონინგენი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 135 | აიაქსი-გრონინგენი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 22.30 | 136 | ტილბურგი-როდა | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 22.30 | 137 | ბრედა-ექსელსიორი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| 22.30 | 138 | პსვ-ზვოლე | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| | 139 | პსვ-ზვოლე 0:1 | 1,25 | 4,4 | 5,3 | | | |
| 23.00 | 140 | ალკმაარი-ფეიენოორდი | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 17.30 | 141 | გრააფსხაპი-ჰერენვენი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| 17.30 | 142 | ტვენტე-ნაიმეგენი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 17.30 | 143 | ვალვაიკი-ვიტესი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |

**ბელგია. I დივიზიონი. XXII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 155 | ბრიუგე-სტანდარდი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.00 | 156 | ბეერსხოტი-ლუვე | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 23.00 | 157 | მონსი-გენტი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 23.00 | 158 | სტ.ტრუიდენი-ვესტერლო | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 23.00 | 159 | ლიერსი-მეხელენი | 1,05 | 5,0 | 10,0 | 1 | 1 | 3,33 |
| 23.00 | 160 | ლომელი-გენკი | 3,5 | 3,4 | 1,9 | 1,72 | 1,23 | 1,21 |
| 23.00 | 161 | ლოკერენი-ბევერენი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 162 | ლოკერენი-ბევერენი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 163 | ანდერლეხტი-ანტვერპენი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 164 | ანდერლეხტი-ანტვერპენი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.00 | 165 | შარლერუა-მუსკრონი | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |

**ჩეხეთი. XVI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 17.25 | 191 | ტეპლიცე-სპარტა | 3,1 | 3,1 | 2,25 | 1,54 | 1,3 | 1,3 |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 13.15 | 192 | ჟიჟკოვი-ბლშანი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 17.00 | 193 | სინოტი-იაბლონეცი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 17.00 | 194 | ბანიკი-ზლინი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.00 | 195 | ბუდეიოვიცე-ბოჰემიანსი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.30 | 196 | სლავია-ჰ.კრალოვე | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 197 | სლავია-ჰ.კრალოვე 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 19.30 | 198 | ბრნო-პრჟიბრამი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.30 | 199 | ლიბერეცი-სიგმა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

**თურქეთი. XX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 15.30 | 200 | გენჩლერი-დიარბაქირი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 201 | გენჩლერი-დიარბაქირი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 15.30 | 202 | სამსუნი-ქოჯაელი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 15.30 | 203 | მალათია-დენიზლი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 21.00 | 204 | ფენერბაჰჩე-გაზიანთეფი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 15.30 | 205 | ელაზიგი-ანკარაგუჯუ | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 15.30 | 206 | ალთაი-ტრაბზონი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 15.30 | 207 | ადანა-გიოზთეფე | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 18.30 | 208 | ბეშიქთაში-ისთანბული | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 209 | ბეშიქთაში-ისთანბული 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| 21.00 | 210 | ბურსა-გალათასარაი | 5,0 | 3,4 | 1,65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა. XXVIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 16.30 | 211 | მოზერველი-სელტიკი | 9,0 | 5,3 | 1,25 | 3,33 | 1,09 | 1,01 |
| 19.00 | 212 | დანდი-ლივინგსტონი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 19.00 | 213 | ჰიბერნიანი-დანფერმლაინი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 214 | კილმარნოკი-პარტიკი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 215 | რეინჯერსი-ჰართსი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 216 | რეინჯერსი-ჰართსი 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 17.05 | 217 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

**შოტლანდია. III დივიზიონი. გადადებული მატჩი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 23.30 | 234 | ისტ სტირლინგი-მორტონი | 4,2 | 3,6 | 1,7 | 1,93 | 1,21 | 1,15 |

**ინგლისი. თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 16.15 | 242 | მანჩესტერი-არსენალი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 243 | სანდერლენდი-უოტფორდი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 19.00 | 244 | საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 245 | შეფილდი-უოლსოლი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 17.00 | 246 | კრისტალ პალასი-ლიდსი | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |
| 19.00 | 247 | ფულემი-ბარნსლი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 20.00 | 248 | სტოკი-ჩელსი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 23.00 | 249 | ვულვერჰემპტონი-როჩდეილი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |

**საფრანგეთი. თასი. 1/8 ფინალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 18.30 | 250 | ბურჟი-ოსერი | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| 19.00 | 251 | მარტიგი-მეცი | 3,2 | 3,1 | 2,2 | 1,57 | 1,3 | 1,28 |
| 21.00 | 252 | შილტინგეიმი-ტულუზი | 6,5 | 3,6 | 1,5 | 2,31 | 1,21 | 1,05 |
| 23.00 | 253 | ანგულემი-გენგამი | 4,8 | 3,3 | 1,7 | 1,95 | 1,25 | 1,12 |
| 23.00 | 254 | ლიბურნი-რენი | 4,8 | 3,3 | 1,7 | 1,95 | 1,25 | 1,12 |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 255 | ლორიანი-ლილი | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

**15.02 18.30 2601 გერმანია ბლ. (XXI ტური)**
**25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9**
**15.02 21.00 2602 იტალია "A" (XXI ტური)**
**23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9**
**15.02 22.00 2603 ესპანეთი Iდ. (XXII ტური)**
**25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9**
**15.02 22.15 2604 პორტუგალია Iლ. (XXII ტური)**
**23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9**
**14.02 23.00 2605 ჰოლანდია (XX ტური)**
**25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9**
**15.02 18.00 2606 ბელგია Iდ. (XXII ტური)**
**27 ან ნაკლები – 1,9, 29 ან მეტი – 1,9**
**15.02 15.30 2607 თურქეთი (XX ტური)**
**26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9**


სამ თბილისურ ბიუროში
კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;
ვაჟა ფშაველას გამზირი №46
(მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");
დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ
რობაქიძის გამზირი, 7 კორპუსი
ბრიგომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა
შაბათი 12.00–21.30 კვირა 12.00–20.30


**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 256 | ლავალი-პსჟ | 4,4 | 3,1 | 1,8 | 1,81 | 1,27 | 1,13 |
| 23.00 | 257 | ბორდო-ვალენსიენი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | | **საფრანგეთი. ლიგის თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 258 | გენიონი-ნანსი | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| | | **პორტუგალია. თასი. V ეტაპი** | | | | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 259 | ფელგეირაში-მორეირენსე | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 01.10 | 262 | კობრელოა-ხიმნასია | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **13 თებერვალი** | | | | | | |
| 01.10 | 263 | სპორტინგ კრისტალი-პაისანდუ | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| | | **ევრო 2004** | | | | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 18.30 | 264 | იუგოსლავია-აზერბაიჯანი | 1,05 | 8,0 | 30,0 | 1 | 1,01 | 6,31 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 14.45 | 266 | ჩინეთი-ბრაზილია | 8,0 | 3,8 | 1,4 | 2,57 | 1,19 | 1,02 |
| 15.00 | 267 | საქართველო-მოლდოვა | | | ანგარიში | | | 5,0 |
| 20.00 | 268 | კვიპროსი-რუსეთი | 4,8 | 3,3 | 1,7 | 1,95 | 1,25 | 1,12 |
| 21.00 | 269 | ტუნისი-შვედეთი | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| 21.00 | 270 | ხორვატია-პოლონეთი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 21.30 | 271 | ალჟირი-ბელგია | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 22.00 | 272 | საბერძნეთი-ნორვეგია | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 22.00 | 273 | ისრაელი-სომხეთი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 22.30 | 274 | თურქეთი-უკრაინა | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 22.30 | 275 | ეგვიპტე-დანია | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| 23.30 | 276 | პოლანდია-არგენტინა | 2,35 | 3,1 | 3,0 | 1,33 | 1,31 | 1,52 |
| 23.30 | 277 | სლოვენია-შვეიცარია | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| 23.45 | 278 | საფრანგეთი-ჩეხეთი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 23.45 | 279 | იტალია-პორტუგალია | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.45 | 280 | უელსი-ბოსნია | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 24.00 | 281 | ჩრდილოეთ ირლანდია-ფინეთი | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 24.00 | 282 | ინგლისი-ავსტრალია | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| 24.00 | 283 | შოტლანდია-ირლანდია | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 00.45 | 284 | ესპანეთი-გერმანია | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 04.00 | 285 | იამაიკა-ა.შ.შ. | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| 04.00 | 286 | ეკვადორი-ესტონეთი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **(ნეიტრალურზე)** | | | | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 17.00 | 288 | ლიტვა-ლატვია (თურქეთში) | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 20.30 | 289 | ბულგარეთი-უნგრეთი (კვიპროსში) | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 22.00 | 290 | მაროკო-სენეგალი (საფრანგეთში) | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 22.00 | 291 | რუმინეთი-სლოვაკეთი (კვიპროსში) | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 07.00 | 292 | მექსიკა-კოლუმბია (ა.შ.შ-ში) | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 20.00 | 601 | ვიტკოვიცე-სპარტა | 2,2 | 4,0 | 2,35 | 1,41 | 1,13 | 1,48 |
| 20.00 | 602 | ვსეტინი-ტრჟინეცი | 2,05 | 4,2 | 2,45 | 1,37 | 1,11 | 1,54 |
| 20.30 | 603 | ლიტვინოვი-ზნოიმო | 1,85 | 4,4 | 2,7 | 1,3 | 1,09 | 1,67 |
| 20.30 | 604 | ბუდეიოვიცე-ზლინი | 1,55 | 4,8 | 3,6 | 1,17 | 1,08 | 2,05 |
| 21.00 | 605 | სლავია-პავირკოვი | 1,15 | 7,0 | 8,0 | 1 | 1 | 3,73 |
| 21.00 | 606 | ლიბერეცი-პარდუბიცე | 2,5 | 4,2 | 2,0 | 1,56 | 1,11 | 1,35 |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 20.00 | 607 | კარლოვი ვარი-პლზენი | 1,85 | 4,4 | 2,7 | 1,3 | 1,09 | 1,67 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **12 თებერვალი** | | | | | | |
| 20.30 | 677 | ლუკო-იოკერიტი | 2,5 | 4,2 | 2,0 | 1,56 | 1,11 | 1,35 |

# ჩემპიონები და თასის აღება

**ჩემპიონთა თასი**

**18 თებერვალი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 001 | რეალი | 5,0 |
| 002 | მანჩესტერი | 5,0 |
| 003 | მილანი | 5,0 |
| 004 | არსენალი | 6,0 |
| 005 | იუვენტუსი | 7,0 |
| 006 | ბარსელონა | 7,0 |
| 007 | ინტერი | 7,0 |
| 008 | ვალენსია | 8,0 |
| 009 | დეპორტივო | 20,0 |
| 010 | დორტმუნდი | 20,0 |
| 011 | აიაქსი | 25,0 |
| 012 | რომა | 40,0 |
| 013 | ლევერკუზენი | 75,0 |
| 014 | ნიუკასლი | 75,0 |
| 015 | ლოკომოტივი | 250,0 |
| 016 | ბაზელი | 500,0 |

**უეფას თასი**

**20 თებერვალი (21.15)**

| | | |
|---|---|---|
| 021 | ლაციო | 3,0 |
| 022 | ლივერპული | 3,0 |
| 023 | ჰერტა | 8,0 |
| 024 | პორტუ | 10,0 |
| 025 | სელტიკი | 10,0 |
| 026 | მალაგა | 10,0 |
| 027 | პანათინაიკოსი | 15,0 |
| 028 | ოსერი | 15,0 |
| 029 | შტუტგარტი | 15,0 |
| 030 | ანდერლეხტი | 15,0 |
| 031 | აეკ | 15,0 |
| 032 | ბეშიქთაში | 20,0 |
| 033 | სლავია | 30,0 |
| 034 | ბოავიშტა | 30,0 |
| 035 | დენიზლი | 50,0 |
| 036 | ვისლა | 50,0 |

**შვეიცარია. A ლიგა**

**22 თებერვალი (17.30)**

| | | |
|---|---|---|
| 161 | ბაზელი | 1,6 |
| 162 | გრასჰოპერი | 2,0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

**22 თებერვალი (18.30)**

| | | |
|---|---|---|
| 171 | ავსტრია | 1,01 |
| 172 | შტურმი | 15,0 |
| 173 | რაპიდი | 15,0 |
| 174 | პაშინგი | 15,0 |

**რომელი ქვეყნის კლუბი აიღებს ჩემპიონთა თასს**

**18 თებერვალი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 181 | ესპანეთი | 2,0 |
| 182 | ინგლისი | 2,5 |
| 183 | იტალია | 2,5 |
| 184 | გერმანია | 15,0 |


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, მას კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ერთიანულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანელის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერის ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

# ბასკო და ბენეტონი დაძმობილდნენ

## ვინც ბათუმში იყოჩაღებს, ტრევიზოში წავა

**ბათუმის** „ბასკო“ და იტალიური ტრევიზოს „ბენეტონი“ აგერ, უკვე მეორე წელია, დამეგობრებულან და მათი საქმიანი ურთიერთობის შედეგია ამ სეზონის წინ იქ გადაბარგებული მანუჩარ მარკოიშვილი. კონტაქტები ღრმავდება და ჰორიზონტზე ახალი კონტრაქტები ჩნდება, შესაძლოა, მარკოიშვილის კვალს მალე ორი ახალგაზრდა ბასკოელი — გიორგი ცინცაძე და ნიკა ჩხატარაშვილიც დაადგნენ, რომლებიც ახლა ბათუმელთა მთავარ მწვრთნელ ნუგზარ კანდელაკთან ერთად ტრევიზოში არიან.

ბათუმელები ერთი კვირის წინ ჩავიდნენ იტალიაში და „ბენეტონის“ ახალგაზრდულ გუნდში რამდენიმე ამხანაგური მატჩი ითამაშეს. ცინცაძე და ჩხატარაშვილი იტალიელებს მოსწონებიათ, თუმც როგორც ბათუმელთა ხელმძღვანელობა ამბობს, ისინი ამ სეზონში „ბასკოში“ დარჩებიან. ამ ვიზიტის მიზანია, ტრევიზოელთათვის „ბასკოს“ ახალთაობის გაცნობა და თუ ვინმე წავა ბათუმიდან ტრევიზოში, მხოლოდ „ბენეტონის“ პირველ გუნდში.

თუმც მხოლოდ პერსპექტიული კალათბურთელების დაკვალიანება როდია „ბასკოს“ მიზანი, ნუგზარ კანდელაკი იმ მიზნითაც ჩავიდა ტრევიზოში, რომ „ბენეტონის“ მწვრთნელი ეტორე მესინა პირადად გაიცნოს და მომავალ გეგმებზე გაესაუბროს. „ბასკოს“ საზაფხულოდ საერთაშორისო ტურნირის ჩატარება განუზრახავს, რომელშიც სავარაუდოდ „ბენეტონიც“ მიიღებს მონაწილეობას. დაგეგმილია ასევე „ბასკოს“ საკალათბურთო სკოლის მწვრთნელთა იტალიაში მივლინება, კვალიფიციის ასამაღლებელ კურსებზე. მოკლედ, ბათუმში დიდ საქმეს შესჭიდებიან.

ბასკოელები დღეს „ბენეტონ“—აექის საევროლიგო მატჩს დაესწრებიან და ბათუმისკენ გამოსწევენ.

**ირაკლი ბერტაია**



გურამ [illegible] ფოტო

ნუგზარ კანდელაკმა და ბასკოელებმა ტრევიზოს გზა გაიკაფეს

# სიროვინას ტრავმამ დინამო დააშავა



გურამ [illegible] ფოტო

იოვან სიროვინა

**„დინამო“** ზოგადად არ არის გაჭირვებული გუნდი, მაგრამ თუ სეზონის დასაწყისში მისი არხეინობის შემდეგ ამ ბოლო დროს გახშირებულ მარცხიანობას გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ, გაჭირვებულს ქვა ალმართში მიეწია: ლევან მოსეშვილის გუნდს ერთ-ერთი ლიდერი, ჩემპიონატის ყველაზე დიდხელფასიანი კალათბურთელი, იუგოსლავიელი იოვან სიროვინა გამოაკლდა, სიროვინამ ამ კვირას მენისკის ოპერაცია გაიკეთა.

„დინამოს“ იუგოსლავიელმა ცენტრმა ტრავმა მეორე წრის ბოლო ტურში, 22 დეკემბერს „ბასკოსთან“ თამაშისას მიიღო. იოვანის მუხლი შედარებით მომცრო ბასკოელ ირაკლი კეიდიასთან ორთაბრძოლამ იმსხვერპლა. მას მერე დაშავებული სიროვინა სამშობლოში მკურნალობდა, სადაც ექიმებმა ოპერაციის საჭიროება ვერ დაინახეს და „გამოჯანმრთელებული“ იუგოსლავიელი „დინამოს“ მოუბრუნდა. საქართველოში ჩამოსულ „დინამოს“ ცენტრს კვლავ ასტკივდა მუხლი, ახლა კი ჩაერივნენ საქმეში ქირურგები.

სიროვინა გუშინ გამოეწერა საავადმყოფოდან. ჯერ არავინ იცის, როდის შეუდგება იუგოსლავიელი ვარჯიშს, თუმც, როგორც წესი, მენისკის ოპერაციის შემდეგ ფორმის აღდგენას მინიმუმ თვენახევარი-ორი თვე სჭირდება... ჩემპიონატი კი 16 თებერვალს განახლდება.

**ირაკლი სახეჩიძე**



# ჩანგის ჩოგანი ჩონგურივით სევდიანია



AP სან ხოსედან

მაიკლ ჩანგი

**SIEBEL OPEN**

**სან ხოსე. ჰარდი**

**საპრიზო 380 ათასი.**

**პირველი წრე**

**ტოდ მარტინი (5, აშშ) — ბრაიან ვაალი (აშშ) 6:4, 6:3; კენეტ კარლსენი (8, დანია) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 7:5, 3:6, 7:6 (7:3)**

ამ ტურნირს დიდი ყურადღება მიექცევა, რაკილა მასზე გამოსვლას ორი დიდი ამერიკელი — უფრო დიდი ანდრე აგასი და მასთან აქამდე ნათამაშებ ოც შეხვედრაში ცამეტჯერ ძლეული მაიკლ ჩანგი აპირებენ.

ჩანგი, ვინაც გვიანთებერვალში 31 წლისა უნდა მოიყაროს, წლევანდელი აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ დიდი ჩოგბურთიდან მიდის და ამდენად ყველა სარბიელს, სადაც კი ოდესმე კოჭი გაუგორებია, დიდი ჰარი-ჰარალოთი და სენტიმენტებით ემშვიდობება. ასეა ახლაც, ეგ მით უფრო, რომ კარიერის განმავლობაში მორეწილი 34 ტიტულიდან უპირველესი (და მერე კიდევ ერთიც) მას სწორედ სანხოსეურ მაგარსაფარზე მოუნაგრავს.

რაც შეეხება 32 წლის აგასის, მას მოტივაცია და მოქოქვა არ სჭირდება — მელბურნში კარიერის მერვე სლემტიტულისა და ჯამში 55-ე ტიტულის მომგები საქვეყნოდ ბაქი-ბუქობს და იქადნება, რომ ახლა ყველას დამარცხება შეუძლია.

სხვაფრივ — აგასისა და ჩანგთან ერთად იქაურ ქომაგებს კიდევ ერთი შებერებული ამერიკელიც ასეირებს. 32 წლის ტოდ მარტინი, ვინაც 21 იანვარს მამა შეიქმნა, გუშინ უსახელო თვისტომს, ბრაიან ვაალის გაუსწორდა. მათი ცალკორტა მატჩისგან განსხვავებით დიდი ბრძოლა გადახდათ დანიელ კენეტ კარლსენსა და შვედ მაგნუს ნორმანს. ნორმანმა ოქტომბერსა და დეკემბერში მუხლზე ორი ოპერაცია გადაიტანა და კიდევ ის არის გასაკვირი, ნაოპერაციევს ნათამაშებ პირველ შეხლას ორი საათი და 43 წუთი რომ გაუძლო.



AP სან ხოსედან

ტოდ მარტინი

# გაიზარდე დიდი ბიჭი (ფრანგულად)

**მარსელის ღია პირველობა**

**ჰარდი. საპრიზო 475 ათასი.**

**პირველი წრე**

**როდოლფ კადარი (საფრანგეთი) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:4, 6:3; რიშარ გასკე (საფრანგეთი) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:7 (4:7), 6:4, 6:4**

მარსელურ მაგარსაფარზე საჩოგნაოდ ისეთი სახელიანი მოთამაშეებიც ჩასულან, როგორებიც, ვთქვათ, პირველ ნომრად განთესილი შვეიცარიელი როჯერ ფედერერი თუ მისმომდევნონი — ჩეხი ირჟი ნოვაკი, ფრანგი სებასტიან გროჟანი, გერმანელი რაინერ შიუტლერი, მაროკოელი იუნეს ელ აინაუი და რუსი ევგენი კაფელნიკოვი არიან.

თუმცა ესენი საქმეში მოგვიანებით ჩაერთვებიან, მანამდე კი ორი ფრანგის გამარჯვებაზე მოგითხრობთ. ამ ფრანგთაგან ერთი ოცდახუთი წლისაა და იმდენად უცნობი ვინმე გახლავთ, ლასტურ არ მოვიხსენიებდით, გუშინ ირაკლი ლაბაძე რომ არ დაემარცხებინა. მეორე ფრანგი კი გალური ჩოგბურთის პატარა უფლისწული, 16 წლის რიშარ გასკეა, ვინაც იმ დღეს ესპანელთა ამომავალ იმედს, 21 წლის ფელისიანო ლოპესს სძლია.

გასკე ჩვენი მაუსის არეში შარშანდელი მონტეკარლოური ჩოგნაობისას მოექცა, როცა 15 წლისა და 10 თვისა მასტერსის სერიის რაგინდარა ტურნირზე ნაკვალიფიკაციევი უმრწემესი მეჩოგნე გახდა. მან შარშან ასევე უმრწემესი ხეორასეულელის რანგიც მოიმკა, ხოლო წინა კვირაში ბელგრადული ჩელენჯერტურნირის ნახევარფინალამდე ბულრაობის შემდეგ მსოფლიო კლასიფიკაციაში სულაც 139-ე ადგილი დაიმკვიდრა.

მომდევნო წრეში გასკე შესაძლოა ევგენი კაფელნიკოვს გადაეყაროს. ის ყოველთვის ერთი იმათგანი იყო, ვისაც პატარაობიდანვე შევნატროდით, ამბობს გასკე და უმალვე დასძენს, რომ ამ ტურნირისგან გამორჩეულს არაფერის მოელის — მისი მიზანი უბრალოდ რიგიანად ბურთაობაა.

**BELL SOUTH OPEN**

**ვინა დელ მარი. თიხა**

**საპრიზო 375 ათასი.**

**პირველი წრე**

**აგუსტინ კალერი (5, არგენტინა) — სირილ მამიტი (აშშ) 0:6, 6:3, 6:4; ფელიქს მანტია (7, ესპანეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:4, 6:4; დავიდ ფერერი (8, ესპანეთი) — ალექს კიმი (აშშ) 6:2, 6:3; ანდრეა გაუდენცი (იტალია) — მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 4:6, 6:3, 6:0**

ჩილელთა მხრიდან ამ ტურნირისადმი ცხოველ ინტერესს ნიადაგ მათი გმირის, მარსელო რიოსის გამოჩენა იწვევს ხოლმე. მსოფლიოს ოდინდელი მეპირველე თანამემამულეთათვის პირში ჩოგნის გამოვლებას არც ამჯერად აპირებს. ოღონდ მისი საამტურნირო ფორმა — შარშანდლის მსგავსად, როცა ის პირველსავე წრეში გამოვარდა — — ისევ არასახარბიელო უნდა იყოს. ეს ამბავი გასულ უქმეებზე, ჩილეს დევისნაკრების ეკვადორთან მარცხის დროს გაირკვა. რიოსმა იქ ნიკოლას ლაპენტის კი მოუგო, მაგრამ სანაცვლოდ ვინმე ჯოვანი ლაპენტისგან იძლია.

სხვათა შორის, უფრო ცნობილ ლაპენტის ვინა დელ მარში რანგით მეორე ჩოგანი უნდა ჰქონია, მაგრამ დევისობისას ზურგდაშავებულმა შინ დარჩენა ამჯობინა.

**ლევან ძელაურაძე**



AP დოჰადან

ყატარის დიდ სტუმრიანობაში იქაურად შემოსილი მონიკა სელეში და მარტინა ნავრატილოვაც გამოერივნენ

**PROXIMUS DIAMOND GAMES**

**ანტვერპენი. ხალიჩა**

**საპრიზო 585 ათასი.**

**პირველი წრე**

**მირიამ კაზანოვა (შვეიცარია) — კირსტენ ფლიპკენსი (ბელგია) 6:3, 7:5; მარია მატევჟიჩი (სლოვენია) — დაია ბედანოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:3; ტინა პისნიკი (სლოვენია) — რიტა გრანდე (იტალია) 6:3, 4:6, 6:3; დენიზა ჩლადკოვა (ჩეხეთი) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:3, 4:6, 6:2**

**ყატარის ღია პირველობა**

**დოჰა. ჰარდი**

**საპრიზო 170 ათასი.**

**პირველი წრე**

**მაგდალენა მალეევა (3, ბულგარეთი) — როსანა ნევეს-დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:2, 6:1; სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) — ფრანჩესკა სკიავონე (6, იტალია) 6:2, 6:3; დინარა საფინა (რუსეთი) — ადრიანა სერა ძანეტი (იტალია) 6:2, 7:6 (8:6); მარი პიერსი (საფრანგეთი) — ანკა ბარნა (გერმანია) 6:2, 2:6, 6:3; მარტინა სუხა (სლოვაკეთი) — ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) 6:4, 6:7 (8:10), 6:4**

სა-15- თებერვლო ლისაბონურ ჯახში, პორტუგალიასთან საქართველოს ნაკრებს დიდი ძალა მოაკლდა — ბორჯღალოსანთა და ფრანგული „მონფერანის“ მორკინალი ლევან ცაბაძე სერიოზულად დაშავდა. ცაბაძემ ტრავმა საფრანგეთის ჩემპიონატში გასულ უქმეებზე მიიღო. და სულ ცოტა ორ თვეს ვერ ითამაშებს. გამოდის, „ლეონსიო“ წლევანდელ ევროპის ერთა თასზე ბორჯღალოსნებს ვერაფრით დაეხმარება



# მტკივა!

## საქართველოს ნაკრებს ერთა თასზე ლევან ცაბაძე არ ეყოლება

— „მონტობანს“ ვეთამაშებოდით, მეორე ტაიმის შუა წუთებში საშინელი ტკივილი ვიგრძენი. ნაბიჯის გადადგმა მიჭირდა და შეცვლა ვითხოვე. პირველად კლუბის ექიმმა გამსინჯა. ერთი შეხედვით, საზარდული მქონდა დაჭიმული, მაგრამ მერე საფუძვლიანი გამოკვლევა ჩამიტარეს. აღმოჩნდა, რომ საქმე გაცილებით რთულად იყო, საზარდულის კუნთი მქონდა გაწყვეტილი — გვითხრა დაღონებულმა ცაბაძემ, რომელსაც საფრანგეთში შევეხმიანეთ.

**— საოპერაციო ხარ?**

— დაზუსტებით ჯერ არაფერი ვიცი. ექიმებს ვერ გადაუწყვეტიათ, გამიკეთონ თუ არა ოპერაცია. არსებობს სხვა საშუალებებიც. შეიძლება, მკურნალობის შემდეგ თავისით შეხორცდეს, მაგრამ ამას დიდი ხანი დასჭირდება. ისე, თუ ქირურგიული ჩარევის გარეშე მოვირჩენ ტრავმას, ამას რა სჯობს. მანამდე კი ორი თვით ვარჯიში ამიკრძალეს.

**— ექიმები რას გეუბნებიან, მკურნალობისთვის ორი თვე საკმარისი იქნება?**

— ყველაფერი აღდგენით პროცესზეა დამოკიდებული. „მონფერანის“ უფროსები თავს მევლებიან, ქალაქის საუკეთესო ქირურგებთან წამიყვანეს, ვნახოთ, რა იქნება. ძალიან შეწუხებული ვარ, კლუბს ხომ ვერ დავეხმარები და ნაკრებსაც დავაკლდები. არადა, მარტში რუსებთან სტუმრად გვიწევს თამაში, აპრილში კი თბილისში რუმინეთს ვუმასპინძლებთ. ორივე უმნიშვნელოვანესი მატჩია, მე კი...

**— ეგებ აპრილამდე მორჩე და რუმინეთთან ითამაშო.**

— საუკეთესო შემთხვევაში რუმინეთამდე შეიძლება მოვმჯობინდე, მაგრამ უვარჯიშებელი, ცხადია, ფორმაში ვერ ვიქნები. ასეთ მდგომარეობაში ჯობს, სულ არ ვითამაშო. მთავარია, საზარდული ბოლომდე მოვირჩინო და ტრავმა არ გავიმიზეზო. მსოფლიოს თასისთვის სრულ მზადყოფნაში უნდა ვიყო.

**ბაჩო სვანიძე**



# დიდი მეკობრე წვრილმან საშოვარზე

## მარკო პანტანის ბედის ბორბალი ველობორბალია

**უცნობილესი** ველომრბოლი, ტურ დე ფრანსის ყოფილი ჩემპიონი მარკო პანტანი 33 წლისა მოყრილა, მაგრამ ველოსპორტიდან წასვლას ჯერ არ აპირებს. სიჩაუქე ძველებურად ველარ მომდევს, თუმც პედლების ტრიალს კიდევ ერთ სეზონსაც შევძლებო, იმედს არ კარგავს ვეტერანი იტალიელი.

„მართალია, ის დიდი პანტანი აღარ ვარ, მაგრამ ველოსიპედს ჯერ ვერ შეველევი, ის ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია“ — უთხრა „მეკობრედ“ წოდებულმა პანტანიმ ფრანგულ ჟურნალ „ლეკიპს“.

იტალიელი მრბოლი წლეულს ტურ დე ფრანსზე აპირებს გამოსვლას. საამისოდ იგი ინდივიდუალური პროგრამით ემზადება, თუმცა, წინა წლებისგან განსხვავებით, მწვერვალების დაპყრობას არ ეშურება. „კარგად ვიცი ჩემი ახლანდელი შესაძლებლობები და ამის გათვალისწინებით მოკრძალებული ამბიციები მაქვს. საკმარისი იქნება, თუ ერთ ან ორ ეტაპს მოვიგებ.“

პანტანი ტურ დე ფრანსის ორგანიზატორებსაც შეეხო და გვარიანად გაკენწლა ისინი. საქმე ისაა, რომ, როგორც ყოფილი ჩემპიონი, მარკო ავტომატურად არ დაუშვეს ტურზე და ჩასათვლელი ქულებისთვის სამუშაოდ გაიმეტეს.



მარკო პანტანი



## ფერარი

გუნდი დაარსდა 1929 წელს
ფორმულა 1-შიასპარეზობს 1950 წლიდან
670 რბოლა; 159 მოგება; 158 პოული;
159 უსწრაფესი წრე; 3829,5 ქულა
ჩემპიონის ტიტული 12
კონსტრუქტორთა თასი 12
2002 წელს პირველი ადგილი (221 ქულა)
**პრეზიდენტი:** ლუკა კორდერო დი მონტეძემოლო
**სპორტული დირექტორი:** ჟან ტოდტი
**ტექნიკური დირექტორი:** როს ბრაუნი
**ბოლიდი:** „ფერარი F2003-GA“
(სიგრძე 4,55 მ; სიგანე 1,8 მ; სიმაღლე 0,96 მ)
**ძრავა:** „ფერარი 052“
**საბურავები:** „ბრიჯსტოუნი“
**ტესტ პილოტები:** ლუკა ბადოერი (იტალია) და ფელიპე მასა (ბრაზილია)



**მიხაელ შუმახერი**

**გერმანია**

დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს
ჰურტ-ჰერმოლცჰაიმში
ცხოვრობს შვეიცარიაში
ცოლშვილიანი
სიმაღლე 174 სმ; წონა 74 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: ბელგიის დიდი პრიზი (1991)
პირველი გამარჯვება: ბელგიის დიდი პრიზი (1992)
179 რბოლა; 64 მოგება; 50 პოული;
51 უსწრაფესი წრე; 945 ქულა
მსოფლიოს ხუთგზის (1994, 1995, 2000-02) ჩემპიონი
ასპარეზობდა „ჯორდანში“ (1991), „ბენეტონში“ (1991-95)
„ფერარშია“ 1996 წლიდან



**რუბენს ბარიკელო**

**ბრაზილია**

დაიბადა 1972 წლის 23 მაისს
სან პაულუში
ცხოვრობს მონტე კარლოში
ცოლშვილიანი
სიმაღლე 172 სმ; წონა 77 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: სამხრეთ აფრიკის დიდი პრიზი (1993)
პირველი გამარჯვება: გერმანიის დიდი პრიზი (2000)
164 რბოლა; 5 მოგება; 6 პოული;
8 უსწრაფესი წრე; 272 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი მეორე ადგილი (2002)
ასპარეზობდა „ჯორდანში“ (1993-96), „სტიუარტში“ (1997-99)
„ფერარშია“ 2000 წლიდან

# GA

## ფერარი ჯოვანი ანიელის ტრიუმფით მოიგონებს

FIA FORMULA 1

**„ფერარის“** პირველმა მრბოლმა მიხაელ შუმახერმა და მისმა მეწყვილე რუბენს ბარიკელომ შარშანდელ მართლაც რომ ფანტასტიკურ სეზონში 17-დან 15 რბოლა მოიგეს და არაერთი საფორმულო მიღწევაც გააუმჯობესეს. მიუხედავად ამისა, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ „სკუდერიის“ საწარმოში ერთი დღითაც არ შეწყვეტილა მუშაობა უფრო სრულყოფილი ბოლიდის შესაქმნელად.

ახალი სისხლისფერი ბედაური უკვე მზადაა, თუმც საჯინიბოს ხელმძღვანელობა საქმეში მის თავიდანვე ჩაბმას არ ჩქარობს და კარსმომდგარ სეზონს, შარშანდელივით, წინამორბედი მოდელი დაიწყებს, რადიკალურად სახეცვლილი კი ტრასაზე აპრილში გამოჩნდება. ეს თვენახევარი ძირითადად მანქანის საიმედოობის ამაღლებას მოხმარდება.

პრეზენტაცია ტრადიციულად მარანელოში, „ფერარის“ შტაბბინაში მოეწყო. ულამაზესი კონსტრუქციული შედევრი, რომელიც უკვე მონათლეს „ტექნიკურ საოცრებად“, პრაქტიკულად ყოველმხრივ განსხვავდება შარშანდელისგან და რაღაც განსაკუთრებულ, არამიწიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. F2003-GA, როგორც დასახელებიდან ნაწილობრივ ჩანს, „ფიატის“ ახლახან გარდაცვლილი პრეზიდენტის ჯანი ანიელის ხსოვნას მიუძღვნეს („ფერარი“ მსოფლიოს ამ ერთ-ერთი უმსხვილესი ავტოგიგანტის საკუთრებაა).

„ეს მოდელი ჩვენს ისტორიაში ყველაზე წინგადადგმული ნაბიჯია. სიმძიმის ცენტრის დასაწევად და აეროდინამიკური მახასიათებლების გასაუმჯობესებლად შეიცვალა რადიატორის, გამობოლქვის სისტემისა და უკანა შეკიდულობის ელემენტები. ძრავაც თავიდან ბოლომდე ახალია. გაიზარდა ბრუნთა რიცხვი, წონა კი ოთხი პროცენტით შემცირდა. სიმძლავრემ მოიმატა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ ვიტყვით, რამდენით. წლეულსაც 15 ეტაპის მოგებას არ ველით, თუმც პოზიციების დათმობას, ცხადია, არ ვაპირებთ და ყველაფერს ვილონებთ, რომ ამჯერადაც კონკურენტებზე წინ ვიყოთ. უმთავრეს მეტოქეობას „მაკლარენისგან“ და მის პირველ პილოტ დევიდ კულთჰარდისგან ველით და მაინც დარწმუნებულნი ვართ, რომ ზედიზედ მეხუთედ მოვიპოვებთ კონსტრუქტორთა თასს, მიხაელი კი ჩემპიონატს ექვსგზის ტრიუმფატორად დაასრულებს“ — ამბობს „სკუდერიის“ ხელმძღვანელობა.

**გია ახალაძე**



წლევანდელი „ფერარი“ ჯოვანი ანიელის სახელობისაა

მსოფლიოს ჩემპიონატი სენტ მორიცი (შვეიცარია)

# ავსტრია: დიდი გაქანების იმპერია შიმპერატოროდ



მიხაელ ვალჰოფერი ჩემპიონურად დაეშვა და ოქროთიც გაიხარა, უგვირგვინო იმპერატორ ჰერმან მაიერს კი მის ზურგსუკან მოუწყენია

REUTERS სენტ მორიციდან





იანიცა კოსტელიჩმა საჩემპიონო მედალი მერამდენედ გაგბიჩა

REUTERS სენტ მორიციდან

შვეიცარიული ალპების გულში, დაბა სენტ მორიცში სამთომოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გრძელდება. ამ დღეებში იქ მედლების კიდევ სამი კომპლექტი გათამაშდა, შედეგად ალპურ თხილამურობაში მონოპოლისტმა ავსტრიელებმა სამ მედალს (ორი ოქრო, ერთი ვერცხლი) სამიც მიამატეს და მედლების ჯამურ მონაგარში მოულოდნელად დაწინაურებული ამერიკელები ჩამოიტოვეს. ავსტრიელთა ახალნაშოვნ ოქრო-ვერცხლს ქვემოთ შევეხებით, მანამდე კი ამ მოთხილამურე ერის საამჩემპიონატო დანაკლისზე ვთქვათ.

სრულიად ავსტრიის სიამაყე ჰერმან მაიერი ამ სეზონში ველარაფრით გაახარებს თანამემამულეებს, რადგან ის ოპერაციის გაკეთებას აპირებს იმ ფეხზე, რომელიც ლამის დაკარგა ამ წლინახევრის წინ მოტოციკლის ქროლვისას. ამდენად „ჰერმინატორი", რომელმაც სენტ მორიცის პირველივე შეჯიბრში, სუპერგიგანტში ვერცხლის მედალი მოიპოვა, არ ისრიალებს დღეს გიგანტურ სლალომში. „ჩვენ ჯერ არ ვიცით ოპერაციის ზუსტი თარიღი, მაგრამ ერთი რამ კი უეჭველია, ჰერმანი ამ სეზონში აღარ ისრიალებს — როიტერის ჟურნალისტს მაიერის ნაცვლად უპასუხა ავსტრიის სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტმა პეტერ შროეკსნადელმა.

მაიერი იანვარში დაუბრუნდა თხილამურებს და შეუძლებელი შეძლო, დასაპყრებას გადარჩენილმა ვარჯიშის დაწყებიდან სულ სამ კვირაში, მშობლიურ ავსტრიაში, კიცბიუელში მსოფლიოს თასის ეტაპი მოიგო და როგორც სათხილამურო, ისე პინცეტ-ლანცეტის სპეციალისტებს მოულოდნელობისგან პირი დააღებინა.

მაიერმა დაამტკიცა რომ კვლავ დიდი სპორტსმენია, სენტ მორიცშიც დიდებულად იქროლა, მაგრამ ორ ჩქაროსნულ დისციპლინაში სუპერგიგანტსა და სწრაფდაშვებაში მონაწილეობის შემდეგ ამ წლინახევრის წინ წყეულ ავარიაში ერთიანად დამსხვრეულმა წვივმა გიგანტურ სლალომამდე აღარ მიუშვა.

მაიერის უამრავ ქომაგს და მით უფრო მის მოთაყვანე თანამემამულეებს, ცხადია, გული დასწყვიტა ჰერმანის „საპატიო" წარუმატებლობამ, „ჰერმინატორმა" ამ ორშაბათს სწრაფდაშვებაში ვერ შეძლო სამედლებო სამეულში მოხვედრა. სამაგიეროდ ავსტრიელთათვის სინანულის კომპენსირება შეძლო მაიერის თანაგუნდელმა მიხაელ ვალჰოფერმა, ვინაც სწრაფდაშვებისთვის გამზადებული ციცაბო ტრასა წუთსა და 43,54 წამში გალია და სამთომოთხილამურეთა ტრადიციისამებრ სიამოვნებით „გაკბიჩა" ოქროს მედალ-ფირფიტა.

მედლების გარეშე არც ავსრიელ დედაკაცთა ლეგიონი დარჩა. ამ უქმეებზე ქალებში გათამაშებულ ორ დისციპლინაში სწრაფდაშვებასა თუ კომბინაციაში ერთდროულად სწრაფდაშვება და სლალომი ავსტრიელმა მდედრებმა ორი ვერცხლი მოუნაგრეს თავიანთ თავსა და ერს. გამოცდილმა ალექსანდრა მეისნიცერმა სწრაფდაშვებაში წუთი და 34,41 წამი უჩვენა და პოდიუმზე კანადელი მელანი ტარჯონის ქვემოთ დაიჭირა ადგილი. კომბინაციაში კი იყოჩაღა გამოუცდელმა ნიკოლ ჰოსპმა.

ამ 19 წლის ჯერაც სახელგაუთქვამმა ღლაპმა, ცოტა გაწყდა, ოქრო არ აართვა თვით მრისხანე ხორვატ იანიცა კოსტელიჩს. ჰოსპმა ყველას აჯობა კომბინაციისთვის განკუთვნილ სწრაფდაშვებაში და სლალომშიც არა უშავდა. კოსტელიჩი კი სწრაფდაშვებაში მე-12 იყო და ისე ჩანდა, რომ ამ ჯერზეც გაუსხლტებოდა ხელიდან ოქრო, მაგრამ ხორვატმა სლალომზე ისე გიჟურად იქროლა, კაცს ეჭვი შეეპარებოდა, მის ნაცვლად მისი ძმა ივიცა (ისიც ძლიერი მოთხილამურეა) ხომ არ სრიალებსო. საბოლოოდ კოსტელიჩმა სწრაფდაშვების დეფიციტი სლალომში აანაზღაურა და ნიკოლ ჰოსპს ოქრო ცხვირწინ ააცალა. პატარა ავსტრიელი მაინც ბედნიერი იყო, მედალი ჩემი ოცნება იყოო.

**ირაკლი ფირაშვილი**



რეგულარული ჩემპიონატი



# როგორც იქნა: ჰალის 700!



10 თებერვალი

**დეტროიტი 5:4 სან ხოსე 1:1 2:2 2:1**

1:1 სმიტი (9), 1:1 დრეიპერი (17), 2:1 სტიუარტი (22), 2:2 შენაჰანი (36), 3:2 ჰალი (37), 3:3 ნოლანი (39), 4:3 ზეტერბერგი (42), 4:4 ტორნტონი (45), 5:4 ბუალო (58)

გაიტანა! ბრეტ ჰალმა როგორც იქნა, საწადელს მიაღწია. ზედიზედ შვიდი თამაშია, „ოქროს ბრეტმა" ვერა და ვერ გატეხა ნავსი, ვერ შეაგდო მე-700 შაიბა. და აი, დეტროიტელ ვეტერანს სან ხოსესთან გაუმართლა. ის შეუერთდა ელიტარულ სიას, რომელშიც აქამდე მხოლოდ ხუთი ჰოკეისტი იყო — უეინ გრეცკი (894), გორდი ჰოუ (801), მარსელ დიონი (731), ფილ ესპოზიტო (717) და მაიკ გარტნერი (708). ამიერიდან მეექვსე ბრეტ ჰალი იქნება საპატიო „700-იანთა კლუბში". ჰალმა თავისი საიუბილეო გოლი საფირმო, აულებელი დარტყმით გაიტანა, რომელიც წლების განმავლობაში არ კარგავს ძალას.

ყველაფერთან ერთად, ისიც საინტერესოა, რომ იმ შვიდ თამაშში დეტროიტიც ვერ ახერხებდა მოგებას და ჰალის გოლი ამ მხრივაც მნიშვნელოვანი გამოდგა. „ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ მოვიგეთ, თორემ მე-700 გოლი სად გამექცეოდა, თუმც დიდხანს კი მაწვალა" — იქვა ჰალმა მატჩის შემდეგ. მიუხედავად მოგებისა, დეტროიტის თამაშმა საკმაოდ არაერთგვაროვანი შთაბეჭდილება დატოვა. კვლავ სცოდავდა დაცვა, თუმც გადამწყვეტი შაიბა სწორედ ახალბედა მცველმა პატრიკ ბუალომ მიითვალა. ეს მისი მეორე შაიბაა ნჰლ-ურ კარიერაში. „ახლა მხოლოდ 698 დამრჩა გასატანი" — იხუმრა ბუალომ მატჩის შემდეგ.

**სამველ ლარიბიანი**

**ფილადელფია 0:1 მინესოტა 0:1 0:0 0:0**

0:1 დიუპუი (15)

**ვანკუვერი 2:1 ჩიკაგო 0:0 1:0 1:1**

1:0 კლეტი (36), 2:0 ნესლუნდი (92), 2:1 ბელი (60)

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 54 | 3 | 3 | 4 | 13 | 143:104 75 |
| ფილადელფია | 55 | 29 | 9 | 2 | 15 | 128:116 69 |
| აილენდერსი | 54 | 25 | 5 | 2 | 22 | 147:154 57 |
| პიტსბურგი | 55 | 22 | 4 | 5 | 24 | 145:162 53 |
| რეინჯერსი | 58 | 21 | 7 | 2 | 28 | 147:180 51 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 56 | 34 | 7 | 1 | 14 | 182:127 76 |
| ტორონტო | 55 | 30 | 4 | 1 | 20 | 156:133 65 |
| ბოსტონი | 54 | 27 | 5 | 2 | 20 | 161:144 61 |
| მონრეალი | 57 | 22 | 7 | 5 | 23 | 150:167 56 |
| ბუფალო | 53 | 15 | 7 | 4 | 27 | 113:141 41 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ვაშინგტონი | 57 | 26 | 7 | 3 | 21 | 161:152 62 |
| ტამპა | 55 | 22 | 8 | 5 | 20 | 152:156 57 |
| ფლორიდა | 55 | 16 | 11 | 8 | 20 | 128:164 51 |
| ატლანტა | 54 | 19 | 3 | 4 | 28 | 148:191 45 |
| კაროლინა | 56 | 17 | 6 | 5 | 28 | 120:163 45 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| სენტ ლუისი | 56 | 29 | 8 | 4 | 15 | 180:143 70 |
| დეტროიტი | 56 | 28 | 9 | 2 | 17 | 162:142 67 |
| ჩიკაგო | 56 | 23 | 10 | 3 | 20 | 133:132 59 |
| ნეშვილი | 54 | 18 | 9 | 4 | 23 | 124:144 49 |
| კოლუმბუსი | 54 | 20 | 6 | 2 | 26 | 152:167 48 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ვანკუვერი | 56 | 32 | 8 | 0 | 16 | 172:144 72 |
| მინესოტა | 56 | 28 | 8 | 1 | 19 | 135:123 65 |
| კოლორადო | 54 | 24 | 11 | 5 | 14 | 157:134 64 |
| ედმონტონი | 55 | 25 | 6 | 6 | 18 | 151:148 62 |
| კალგარი | 56 | 18 | 8 | 3 | 27 | 122:159 47 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| დალასი | 56 | 32 | 12 | 1 | 11 | 173:111 77 |
| ანაჰაიმი | 55 | 25 | 7 | 4 | 19 | 135:135 61 |
| ლოს ანჯელესი | 55 | 22 | 4 | 4 | 25 | 141:152 52 |
| სან ხოსე | 55 | 20 | 6 | 5 | 24 | 151:167 51 |
| ფინიქსი | 54 | 19 | 7 | 4 | 24 | 134:148 49 |

ბომბარდირები: ლემიე (პიტსბურგი) 73(20+53), ნესლუნდი (ვანკუვერი) 71(37+34), ტორნტონი (ბოსტონი) 68(27+41), კოვალიოვი (რეინჯერსი) 64(27+37), ბერტუცი (ვანკუვერი) 63(29+34), იაგრი (ვაშინგტონი) 62(30+32), მოდანო (დალასი) 62(23+39), ფორსბერგი (კოლორადო) 62(20+42), მიურეი (ბოსტონი) 61(28+33), ჰეიდუკი (კოლორადო) 59(28+31), ალფრედსონი (ოტავა) 58(22+36), დემიტრა (სენტ ლუისი) 57(20+39), უეიტი (სენტ ლუისი) 57(12+45), მოგილნი (ტორონტო) 56(22+34), ჰოსა (ოტავა) 55(34+21)


REUTERS ლაჰტიდან

# შემბლის კოშკები


REUTERS

ჩანს, რომ ინგლისელებს დიდად ენანებათ ძველი „უემბლის“ დანგრევა. ლეგენდარული კოშკები ჯერ კიდევ დეკემბერში უნდა გაეცამტვერებინათ, მაგრამ მალე გაზაფხული მოვა და კოშკები კი ისევ დგას. დასანგრევად გამზადებულს ამ დღეებში კიდევ ერთხელ შეუტევენ. დროშაში გამოხვეული პატარა ბიჭი კი დგას და ინგლისური ფეხბურთის დიადი წარსულის ნელ სიკვდილს ადევნებს თვალს. გაიზრდება და ემახსოვრება, ამ ადგილას ადრე სულ სხვაგვარი სტადიონი იყო.

# გამარჯვება და იმედგაცრუება

ცოტაც და გერმანელი ალექსანდრ ვოლფი გადაჰკვეთს ფინიშის ხაზს, რომელიც ათკილომეტრიან საბიატლონო შეჯიბრში მის გამარჯვებას გვაუწყებს. ფინეთის ქალაქ ლაჰტის თოვლში საბიატლონო მსოფლიო თასის ეს შეჯიბრი სწორედ ვოლფმა მოიგო. შვედეთის გიოტებორგის ყინულზე კი სწრაფციგურაობის მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს და ნახეთ, როგორი მოქანცულობა და იმედგაცრუება აღბეჭდილა ჰოლანდიელი რენატა რუნვალდის სახეზე: თავი დადო, სამი კილომეტრი იქროლო და მხოლოდ მერვე ადგილზე გახვიდე, რაც საერთო ცხრილში ათეულში შესვლას თუ ნიშნავს.


REUTERS ათენიდან

# პირველი

უკვე გამოჩნდა ათენის 2004 წლის ოლიმპიადის ნიშნებით აღბეჭდილი საქონელი. პირველი ჯერი სუნამოზეა, რომელსაც „ზეიმი“ უწოდეს.


REUTERS


REUTERS

# ახლოა ამერიკის თასი

თუ ოკლენდის ნავსადგურში მოცეკვავე ამ ხუთ გოგოს გავებზე კარგად დავაკვირდებით, მკრთალ, მაგრამ უტყუარ ასონიშანციფრებს ამოვიკითხავთ: SUI-64. ეს კი სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა შვეიცარიულ ეკიპაჟ „ალინგის“, რომელმაც ამასწინათ ლუის ვუტონის თასი მოიგო და ახლა ამერიკის თასისთვის უნდა შეეჯიბროს „თიმ ნიუ ზილანდს“. ნაოსნობა 15 თებერვალს დაიწყება.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge